ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 3 დეკემბერი 1996 №128 (353) ფასი 40 თეთრი


# იტალიელებმა საშური საქმე გაასრულეს:



საკი წავიდა

ორშაბათს გამთენიისას იტალიის ნაკრების მწვრთნელი არიგო საკი თანამდებობიდან გადადგა. ელვისებურად გავრცელებული ცნობის თანახმად იგი „მილანს" დაუბრუნდება.

ბოლო დროს საკი პრესისა და გულშემატკივრების დიდ ზეწოლას განიცდიდა. მწვრთნელს, რომელმაც გუნდი მსოფლიოში მეორე ადგილზე გაიყვანა (1994 წლის ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიასთან პენალტებით(!) წააგო), ვერ აპატიეს გასულ ზაფხულს, ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან ვერგასვლა. გავიხსენოთ, რომ იტალიის ნაკრები მესამე იყო ჯგუფში, რომლის პირველი და მეორე გუნდები კონტინენტის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი გახდნენ.

საკიზე, როგორც ნაკრების მწვრთნელზე საუბრისას, ლამის ყველას დაავიწყდა, რომ მისი „მილანი" 1988 წელს იტალიის ჩემპიონი იყო, 1989 და 90 წლებში კი ევროპის ჩემპიონთა თასს ფლობდა.

ყოველივეს მიუხედავად არიგო საკი გადადგა!

რაც შეეხება მის „მილანში" დაბრუნებას, ამის თაობაზე საკუთრივ კლუბს გუშინ არაფერი განუცხადებია. ცნობის პირველწყარო იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშე ანტონელო ვალენტინი გახლავთ. სხვა მხრივ კი, მართალია, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ათიოდ დღის წინ განაცხადა, გუნდის ახლანდელი მწვრთნელი ურუგვაელი ოსკარ ტაბარესი სეზონის ბოლომდე თანამდებობაზე დარჩებაო, თასზე „ვიჩენცასთან" და ჩემპიონატში „პიაჩენცასთან" მარცხმა, როგორც ჩანს, კლუბის მეპატრონეს, ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და მილიონერს სილვიო ბერლუსკონის აზრი შეაცვლევინა.

# ჩვენში კი პრემიებსაც დაარიგებენ

18 დეკემბერს გაიმართება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა. ფედერაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის თქმით, აღმასკომზე განიხილავენ საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებებისა და საკლუბო გუნდების გამოსვლებს საერთაშორისო სარბიელზე, გააანალიზებენ საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეს.

ამის გარდა განიხილავენ სხვა მიმდინარე საკითხებს. გაირკვევა ანდრო ჟორდანიას პრემიის წლევანდელ ლაურეატთა ვინაობაც.



ბადრი კეთილაძის ფოტო

# გუმარი უბადლოა

ახილეთ მეშვიდე გვერდი

**ქართულ რაგბს ახალი ჩემპიონი ჰყავს: თბილისის „გუმარი", რომლის წევრთა უმეტესობა ეროვნული ნაკრების წევრიცაა, რომლის მწვრთნელი გურამ მოდებაძე „ბორჯღალოსანთა" მოძღვარიცაა, კაპიტანი დიმიტრი ობოლაძე კი — მათივე ყოჩი.**

ევროპის თასი. H ჯგუფი IX ტური

**ვითა (საქართველო) — ფ.თ.თ. (თურქეთი)**

თბილისი. 3 დეკემბერი. სპორტის სასახლე. 17 საათი

# დღეს ბოლო შანსია!

დღეს თბილისის „ვითა" ევროპის თასზე ქვეჯგუფში თავის ბოლო საშინაო მატჩს გამართავს. 17 საათზე ჩვენები თურქულ კლუბს, ანკარის ფ.თ.თ.-ს ეთამაშებიან. თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ ეს შეხვედრა „ვითასთვის" პრინციპული და, იქნებ, მეტიცაა: ქვეჯგუფიდან გასვლის შანსი მთლად არ გადაწურულა, საამისოდ საჭიროა, თბილისელებმა დღესაც მოიგონ და ერთი კვირის შემდეგ „ბუდუჩნოსტი" სტუმრად სძლიონ. ოღონდ, მიზნის მიღწევაში ინგლისელებმაც უნდა „შეგვიწყონ ხელი": მათი „ლონდონ თაუერზი" ხვალაც უნდა დამარცხდეს შინ „ბუდუჩნოსტთან" და ბოლო ტურში სტუმრად „კორმენდთან". კაცმა არ იცის, რა მოხდება, მაგრამ ჩვენ ჩვენი გასაკეთებელი უეჭველად უნდა გავაკეთოთ, ანუ აუცილებლად უნდა მოვიგოთ. თანაც ვისთან, ფ.თ.თ.-სთან, რომელმაც ანკარაში მსაჯების გამოაგლეჯინა „ვითასთან" მოგება. ამასთან, იქ ჩვენს კალათბურთელებს დებულების მიხედვით გათვალისწინებული ვარჯიშის საშუალება არ მისცეს.

თურქები ტრაბზონიდან ავტობუსით მოდიოდნენ და თბილისში გუშინ სალამოს უნდა ყოფილიყვნენ. სპორტის სასახლეში მათ შვიდ საათზე უნდა ევარჯიშათ, მაგრამ რვა საათამდე იქ გახლდით და არავინ მოსულა. მანამდე კი „ვითამ" ივარჯიშა. მოედანზე ათი კაცი იყო, ცენტრი კახა შენგელია კი ვარჯიშს ტრიბუნიდან უყურებდა. მას წელი ასტკივნია, მაგრამ როგორც თავად გვითხრა, დღეს სათამაშოდ აუცილებლად გამოვა. „ვითას" მწვრთნელთან ბესიკ ლიპარტელიანთან საუბარი ტრავმებით დავიწყეთ.

— შენგელიას წელი დიდი ხანია აწუხებს, მაგრამ თამაშს მაინც ახერხებს. დღეს დასვენების საშუალება მივეცით. იმედი მაქვს, ხვალ ითამაშებს. დადიანი მუხლს იტკიებს, მენისკი გაუმიზეზდა. ვნახოთ, ხვალ დილის ვარჯიშზეც დავაკვირდები...

**— ქვეჯგუფიდან გასვლის შანსი კიდევ შემოგვრჩა...**

— სამწუხაროდ, ეს მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ინგლისელთა ერთი მოგებაც კი ყველა იმედს გადაგვიწურავს. თუმცა, ხვალინდელი მატჩისთვის ამაზე არ ვითიქრებთ — მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის და მოგების გარდა ფიქრი არაფერზე შეიძლება. საერთოდაც, ჩვენთვის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია, რადგან ევროპულ სარბიელზე პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, მაგრამ ხვალ თურქებთან სხვა ანგარიში გვაქვს გასასწორებელი.

**— რას გულისხმობთ?**

— რას და, ანკარის მატჩი ფ.თ.თ.-მ ჩააწყო და მხოლოდ მსაჯებითა და კომისრით მოგვიგო. ხვალ უნდა დავუმტკიცოთ, რომ თანაბარ პირობებში ისინი ჩვენი მომგებნი არ არიან.

**— ზოგადად როგორი გუნდია ფ.თ.თ.?**

— საშინაო თამაშებში კარგი, რადგან მსაჯები მუდამ მათ მხარეს არიან. ისე, კი გადასარევიო, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი.

**— როგორ თამაშს ამჯობინებენ თურქები?**

— ჰყავთ მსროლელი და გამქცევი ბიჭები, მაგრამ უფრო მეორე შეტევის გუნდია. ამის მიზეზი მათი იუგოსლაველი ცენტრია. მძიმე, 140-კილოგრამიანი ბიჭია და ფარიდან ფარამდე გვიან ჩადის. თუმცა, სამქულიანსაც ესვრის, ანკარაში სამი სამქულიანი ჩაგვიგდო. გარღვევასაც აკეთებს და ძირითადად კაუჭებს ესვრის.

**— ჩვენი ტაქტიკა როგორილა იქნება?**

— ვფიქრობ, ფ.თ.თ.-ს სწრაფი თამაში უნდა შევთავაზოთ. პირველი შეტევა, გაქცევა და შორიდან სროლა უნდა გამოვიყენოთ. ვერ ვიტყვი, რომ დამდგარ, დაწყნარებულ თამაშში შანსი არ გვექნება, მაგრამ ეს სტილი თურქებს უფრო აწყობთ. თუმცა, გავიმეორებ, შეიძლება, ტაქტიკის ცვლამ მოგვიწიოს, მაგრამ ამას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს — ხვალ უნდა მოვიგოთ!

# „ჟურნალისტმა მკითხველს სრული სურათი უნდა დაანახოს“

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ნოდარ ახალკაცს

ღრმად პატივცემულო ბატონო ნოდარ!

გაზეთ „ქართულ ფეხბურთში“ (22 ნოემბერი, 1996 წელი) გამოქვეყნდა ბატონ დავით კვინიკაძის ინტერვიუ, რომელშიც არაერთი საინტერესო ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა გამოთქმული.

ამჯერად თქვენ ყურადღებას მივაპყრობ ინტერვიუს იმ ნაწილს, რომელიც სპორტული ჟურნალისტთა არაკომპეტენტურობას და უვიცობას ამხელს. ბატონი დავითი ბრძანებს: „ფეხბურთის ცოდნა მარტო ის კი არ არის — ამან აქედან ჩააწოდა, ამან ამ და ამ წუთზე გოლი გაიტანა, ნურას უკაცრავად, ჟურნალისტმა მკითხველს სრული სურათი უნდა დაანახოს.“

გულწრფელად მოგახსენებთ, რომ იგივე აზრისა გახლავართ და გენერალური მდივნის შენიშვნას მთლიანად ვეთანხმები. მართალია, ჩვენი პრესა ფეხბურთს საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს, მაგრამ პუბლიკაციათა უმრავლესობა ზედაპირულია, თამაშთა მიმოხილვით შემოიფარგლება და ფეხბურთის მრავალათასიან გულშემატკივართა ცნობისმოყვარეობას ნაწილობრივ თუ აკმაყოფილებს. ჩვენი გაზეთების ფურცლებზე კანტიკუნტად თუ გამოჩნდება ობიექტური ანალიზის და სრული ინფორმაციის შემცველი მასალები. არადა, მკითხველს, ფეხბურთის მოყვარულს, ბატონი დავითისა არ იყოს, მარტო ის როდი აინტერესებს, ვინ საიდან ჩააწოდა და გოლი რომელ წუთზე გავიდა. ნურას უკაცრავად! გულშემატკივარს აინტერესებს ათასი სხვა რამეც, მაგალითად: რა ტენდენციებია მსოფლიო ფეხბურთში და როგორია მასთან ჩვენ მიმართება, ურთიერთკავშირი საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებთან, რა ხდება ქართული ფეხბურთის მთავარ შტაბში — ფეხბურთის ფედერაციაში; რა საკითხებს იხილავს და ვინ რას ამბობს ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე; ვისთან და რა კონტრაქტებია გაფორმებული; რამდენია და რისგან შედგება ფედერაციის წლიური ბიუჯეტი; რა ოდენობის დახმარებას გვიწევენ FIFA და UEFA, ჩვენი ფეხბურთის რომელ პრობლემათა მოგვარებას ხმარდება ფედერაციის შემოსავალი; რა თანხა დევს დღეისთვის ფედერაციის აქაურ და იქაურ ანგარიშებზე; როგორია ფედერაციის პოლიტიკა ქართულ და უცხოურ ტელეკომპანიებთან ურთიერთობაში, ხომ არ აწუხებენ ფედერაციას მაკონტროლებელი და ზემდგომი ორგანოები და თუ ასეთი რამ ხდება, როგორია თქვენი პოზიცია; რა აზრისა ხართ სახელმწიფო დოტაციაზე და საერთოდ, როგორ გესახებათ ქართული ფეხბურთის მომავალი...

დამეთანხმებით, ბატონო ნოდარ, ამ და არაერთ სხვა საკითხთა გაუშუქებლად, ქართული ფეხბურთით დაინტერესებულთა ცნობისმოყვარეობა ვერ დაკმაყოფილდება და მათთან პრესაც მუდმივ ვალში იქნება.

„ჟურნალისტმა მკითხველს სრული სურათი რომ დაანახოს“ და თავისი პროფესიული ვალი მოიხადოს, იმედი მაქვს ფეხბურთის ფედერაცია, პირადად თქვენ და სხვა პასუხისმგებელი პირები, მასმედიის წარმომადგენლებს ამიერიდან შეუფერხებლად მიაწვდით თქვენს ხელთ არსებულ ყველა საინტერესო ინფორმაციას.

კარგი იქნება თუ ფედერაციის მხრიდან ამ საქმის კოორდინაცია ბატონ დავით კვინიკაძეს დაევალება.

პატივისცემით და მადლიერებით,

**ელგუჯა ბერიშვილი,**

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (AIPS) კოორდინატორი.

## გაბედავას და გუჩუას ივანოვი გასინჯავს

ზუგდიდის „ოდიშის“ თავდამსხმელი ვლადიმერ გაბედავა და ნახევარმცველი ვალტერ გუჩუა სეზონისწინა მომზადებას ივანოვის „ტორპედოში“ გაივლიან. მოსკოველთა მთავარი მწვრთნელი ამის შემდეგ გადაწყვეტს, დაიტოვოს თუ არა ოდიშელები გუნდში. კიდევ ერთ მოსკოვურ გუნდში — „ლოკომოტივში“ კიდევ ერთ ზუგდიდელს, 18 წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელ კლიმენტი წიტაიშვილს გასინჯავენ.

## აშგაბადიდან პრწანისში

კახა ჭუმბურიძემ, სხვა ქართველებთან ერთად თურქმენეთში რომ თამაშობდა, იქაური ჩემპიონატის დამთავრებისთანავე საქართველოს მოაშურა და ისევ „მორკინალში“ ჩაირიცხა. დაბრუნება იღბლიანი გამოდგა, კახამ „მრეტებს“ ერთი გოლი გაუტანა, „კოდაკოს“ — ორი, ასე რომ „მორკინალს“ აშკარად „დაატყო ხელი“.



## წივწივაძეზე დიდი მოთხოვნაა

ხაშურის „ივერიის“ 22 წლის თავდამსხმელის ჰამლეტ წივწივაძის თამაშმა პირველ წრეში, როგორც ჩანს, გულგრილი არ დატოვა ჩვენი მწვრთნელები. შევიტყვეთ, რომ სულ მცირე ოთხი გუნდი ცდილობს მის გადაბირებას. ხაშურელთა მწვრთნელის მალხაზ ლაცაბიძის თქმით, ესენი არიან „კოლხეთი“ „შევარდენი“ და თბილისის „დინამო“, მეოთხე გუნდის დასახელებისგან კი მწვრთნელმა თავი შეიკავა, თუმცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ლაპარაკია ლატვიურ „სკონტოზე“. ეს გვაცნობა ლატვიელთა გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტმა რევაზ ძოძუაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ წივწივაძე ლაცაბიძემ II ლიგის „ჟინვალიდან“ წაიყვანა და არც შემცდარა, იგი „ივერიას“ თავდასხმას ძლიერ შეეშველა.

— ასეთი წინადადებების შემდეგ, ბუნებრივია, წივწივაძე ჩვენთან აღარ გაჩერდება და შემცვლელის ძებნას შევუდექით. შესაძლოა, მის ნაცვლად ყოფილი ივერიელი გივი ქობელაშვილი დავიბრუნოთ. წივწივაძის გარდა მოთხოვნა სხვა მოთამაშეებზეც იყო — მაგალითად, ზაზა ლაცაბიძეზე, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა მეორე წრისთვის აუცილებელი თანხის გამოყოფას შეგვპირდა და ვფიქრობ, დანარჩენებს შევინარჩუნებთ.

## სლავა მეტრეველი „კოლხეთში“

ბოლნისის „სიონის“ თავდამსხმელის კონსტანტინე (სლავა) მეტრეველის გადაბირება ფოთის „კოლხეთს“ განუზრახავს. ამის თაობაზე მოლაპარაკებებიც დაწყებულა და ალბათ, მეორე წრიდან მეტრეველი ფოთელთა ღირსებას დაიცავს.

ფოთელთა დაინტერესება მეტრეველით სრულიად კანონზომიერია, რადგან „სიონის“ თავდამსხმელმა I წრე ჩინებულად ჩაატარა, განსაკუთრებით კარგად კი სწორედ „კოლხეთის“ წინააღმდეგ ითამაშა სკანდალურად გახმაურებულ მატჩში, რომელსაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. მეტრეველმა ფოთელებს ორი ლამაზი გოლი გაუტანა.

# გუცაევმა ძუძუსაც უხმო



დღეს თბილისი — მოსკოვი — ბეირუთის რეისით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ლიბანს გაეშურება. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა ნაკრებში 18 მოთამაშეს უხმო:

მეკარეები: ნიკოლოზ ტოგონიძე („ბათუმი“), დავით ასლანიძე („კახეთი“), მცველები: კახა კალაძე, გივი დიდავა, ზვიად ჯელაძე, ლევან კობიაშვილი („დინამო“), შალვა ხუჯაძე („კოლხეთი“). ნახევარმცველები: ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე („დინამო“), თემურ ტუღუში („ბათუმი“), გიორგი დარასელია, გიორგი გახოკიძე („კოლხეთი“), თავდამსხმელები: გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი („დინამო“), ვლადიმერ გაბედავა („ოდიში“), მიხეილ ფოცხვერია („შახტიორი“, უკრაინა), ლევან ქებაძე („მარგვეთი), მიხეილ აშვეთია („ტორპედო“)

გუშინ ეროვნულ სტადიონზე ნაკრებმა გუცაევის თანაშემწის, ვოვა პანოვის ხელმძღვანელობით უბურთო ვარჯიში ჩაატარა. ვარჯიშს არ ესწრებოდნენ „არაახალგაზრდული“ ასაკის ტოგონიძე, ჯელაძე, ტუღუში და დარასელია. ტოგონიძეს თასის განმეორებით შეხვედრაში „ტორპედოსთან“ თვალი დაზიანებია და ექიმების რჩევით არ ვარჯიშობდა. მისი გამგზავრება ამის გამო საეჭვო იყო. დანარჩენი სამი კი გუნდს გუშინ საღამოს უნდა შეერთებოდა. თუ რამ გამოიწვია ამ ოთხეულის ნაკრებში გამოძახება, ამაზე ცოტა მოგვიანებით.

ვლადიმერ გუცაევს ვარჯიშის წინ გავესაუბრეთ. მან ჯერ ის გვითხრა, თუ როგორ და ვისი მეშვეობით განხორციელდა ეს ტურნე:

— ლიბანელებმა თავდაპირველად ჩვენი ეროვნული ნაკრები მიიწვიეს, მაგრამ ნაკრებს იქ გამგზავრების საშუალება არ ჰქონდა, რადგან ახლა ლეგიონერების ჩამოყვანა დიდი პრობლემაა. ამიტომ გადაწყდა ახალგაზრდების გამგზავრება. დავიმატეთ უფროსი ასაკის ოთხი მოთამაშე: ტოგონიძე, ტუღუში, დარასელია და ზვიად ჯელაძე. თუმცა, კიდევ არ არის გადაწყვეტილი, შეკრებაზე გამოძახებული 18 მოთამაშიდან ლიბანში ვინ წავა. სულ 17 მოთამაშეს წავიყვანთ. ასე რომ, ერთს დარჩენა მოუწევს.

**— ზემოთ დასახელებულ მოთამაშეთა გამოძახება საბაზო, მეორე ნაკრების შექმნის მცდელობა ხომ არ არის, სადაც ეროვნულში ვერმოხვედრილი მოთამაშეები გაერთიანდებოდნენ?**

— არა, ასეთი ჩანაფიქრი არ გვქონია. უბრალოდ, ჩვენს ნაკრებს სათამაშო პრაქტიკა და შეთამაშება სჭირდება და რაც უფრო მეტ შეხვედრას ჩავატარებთ, მით უკეთესი. მაგრამ პრობლემები შეგვექმნა. გერმანიაში მოთამაშე მიხეილ საჯაია და ვახტანგ იაგორაშვილი ვერ ჩამოფრინდნენ. ორივე დაშავებულია, ისევე როგორც მეკარეები გვარამაძე და [illegible]შვილი.

**— აბა, რით არის გამოწვეული „ოთხეულის“ მიწვევა?**

— ამ ფეხბურთელებს საერთაშორისო თამაშების გამოცდილება აკლიათ და ჩვენი ტურნე გარკვეულწილად მათ ამ გამოცდილების მიღებაში დაეხმარება.

**— ესე იგი, ტოგონიძეს თუ არ ჩავთვლით, ისინი პირველი ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან?**

— ეს უკვე ჩივაძის საქმეა. უბრალოდ, ლიბანში ეროვნულ ნაკრებთან და ერთ-ერთ საკლუბო გუნდთან მოგვიწევს შეხვედრა და გვინდა, ღირსეულად ვითამაშოთ. თანაც, ხომ ვთქვი, რამდენიმე მოთამაშე დაგვიშავდა.

**— „სარბიელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ზაზა ჯანაშიამ თქვა, რომ დიდი სიამოვნებით ითამაშებდა საქართველოს ნაკრებში. შეკრებაზე კი არ ჩანს. ნუთუ მის გამოძახებაზე უარს ამბობთ?**

— ჩვენ ზაზას ოთხჯერ შევეხმიანეთ ფაქსით, უამრავჯერ ვთხოვეთ ტელეფონით „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას, დაგვკავშირდებოდა ჯანაშია, ის კი ჩვენს მიწვევებს ყურადაც არ იღებს. სხვა რა შეგვიძლია? ჩვენი მხრივ ყველა ნაბიჯი გადავდგით. ეტყობა, ჯანაშიას მხოლოდ სიტყვიერად აქვს ნაკრებში თამაშის სურვილი, რაკი სინამდვილეში სხვანაირად იქცევა.

**მერაბ მამულაშვილი**



# «დინამო» ჩამოვიდა და შვებულებაშია

მაშინ, როდესაც საქართველოში „ასტონ ვილა“ — „დინამოს“ მატჩის შედეგს ელოდნენ, ინგლისიდან ამბის ნაცვლად... „დინამო“ ჩამოვიდა. თუ რატომ არ შედგა ინგლისური ტურნე „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ ასე ახსნა:

— ინგლისურმა მხარემ პირი გვიტეხა, არადა, მატჩები დანიშნული იყო. მოკლედ, რაღაც დიდი გაუგებრობა მოხდა, სამწუხარო კი ის არის, რომ გუნდმა დაგეგმილი შეკრება სრულფასოვნად ვერ ჩაატარა.

**— „დინამოს“ ინგლისში გამგზავრებამდე იმასაც ამბობდნენ, ზოგი დინამოელის ბედი შესაძლოა ინგლისში გადაწყდესო. რომელიმე აგენტი ხომ არ დაინტერესებულა ჩვენი ფეხბურთელებით?**

— ამაზე მერაბ ჟორდანია გიპასუხებთ, ორიოდ დღეში ჩამოვა.

**— გავიგე, „დინამო“ შვებულებაში გაგიშვიათ...**

— მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით ფეხბურთელები 4 იანვრამდე დაისვენებენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახალი სეზონისთვის მზადება ლამის წინანდელის დასრულებისთანავე დავიწყეთ, ბიჭები მართლაც გადაიღალნენ და უდაოდ იმსახურებენ დიდ დასვენებას.

**— ფეხბურთელები კი დაასვენეთ, მაგრამ უფროსობა ალბათ დასასვენებლად ვერ მოიცლით, ზოგი მოთამაშე უნდა გაუშვათ, ზოგი მიიღოთ...**

— დასასვენებლად მართლაც ვერ მოვიცლით, ახლავე უნდა გამოიკვეთოს „დინამო 97“-ის კონტურები. ცვლილებები აუცილებლად იქნება.

ინგლისური ამბები ირაკლი ზოიძემ მოგვითხრო:

— მოხდა ისე, რომ დაგეგმილი რვა დღის ნაცვლად მხოლოდ ხუთი დღე დავყავით. როგორც იქ გვითხრეს, დაგეგმილი მატჩები იმიტომ ჩაგვეშალა, რომ ინგლისში სათასო შეხვედრებისა და უამინდობის გამო ბევრი თამაში გადაიდო, ჩვენმა მეტოქეებმა ველარ გამონახეს დრო და პირიც ამიტომ გვიტეხეს.

**— „ბარნსლისთან“ თამაშზე რას იტყვი?**

— ჩასვლის მეორე დღესვე ვითამაშეთ და ცოტა არ იყოს, გადაღლილები ვიყავით მგზავრობით. პატარა, კოხტა სტადიონი სავსე იყო, ხუთი ათასამდე კაცი ისხდა. თამაში ცუდად დავიწყეთ, მეტოქემაც სწორედ მაშინ გაგვიტანა: იმათი თავდამსხმელი საჯარიმოს წინ მოცელეს, დაახლოებით ერთი მეტრით იყო დაშორებული ხაზიდან, მსაჯმა კი მაინც პენალტი დანიშნა და გაგვიტანეს. მერე ჩვენ გვქონდა ორი-სამი მომენტი, მაგრამ ვერ შევაგდეთ. მეორე ტაიმში კი ნაღდად უნდა მოგვეგო, მაგრამ ბევრი მომენტი გავაცუდეთ. შელიამ გვიშველა და დემეტრაძის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი თავით გაგზავნა კარში. ამის მერეც შეგვეძლო გატანა, მაგრამ აღარ გაგვიმართლა. მეტოქემ გამაკვირვა, ტექნიკური ფეხბურთი ითამაშა, ტრადიციული ჩამოწოდებები ფლანგიდან მაინცდამაინც არ ყოფილა...

**— ქინქლაძე ან ყაველაშვილი არ ჩამოსულან?**

— არა, ვერ მოიცალეს, მაგრამ სამაგიეროდ ჯამარაული, ლობჯანიძე და ინალიშვილი გაემგზავრნენ მანჩესტერს, რომელიც 400 კილომეტრის მოშორებით იყო და გიო და მიშა ინახულეს.

**მამუკა კვარაცხელია**

## საქართველოს თასი
### მერვედფინალი

**ოდიში 5:1 სამგურალი**

ოდიში: აბუსერიძე, კვიტაიანი, გუჩუა (ჯოჯუა 54), ჰედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, წიტაიშვილი, გაბედავა, ფანცულაია (ბუკია 54), კალანდაძე

სამგურალი: თევზაძე, ქობულაძე, მანაგაძე, ფხაკაძე, თოდაძე, უშვერიძე, ჭყონია, ბუნტური, ბრეგვაძე, ხურცილავა, ესაიაშვილი

1:0 წიტაიშვილი (23), 2:0 ფანცულაია (31), 3:0, 4:0 გაბედავა (69, 85), 4:1 ჭყონია (86), 5:1 გაბედავა (87)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

პირველი მატჩი: 2:0

**კოლხეთი 5:1 სამტრედია**

კოლხეთი: გოგუა, ხაბულიანი (ბულუხია 46), კვაჩია, ტორჩინავა, თაბილაშვილი, ლილანიძე, მიშველიძე, გახოკიძე, სოლოღაშვილი, დარასელია, ყულეჯიშვილი (ინიაშვილი 46)

სამტრედია: სტურუა, ანჯაფარიძე, ნოდია, დგებუაძე, პავლიაშვილი, ტონია, ცომაია (კალაძე 70), დარსაძე, გვასალია, ფანჩულიძე, ივერიანი

0:1 ივერიანი (29), 1:1 ბულუხია (53), 2:1 ლილანიძე (60), 3:1 გახოკიძე (69), 4:1 მიშველიძე (80), 5:1 ბულუხია (87)

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

პირველი მატჩი: 2:0

**მარგვეთი 3:1 გურია**

მარგვეთი: გ. ბოჭორიშვილი, მაღლაკელიძე, ჟვანია (გურიელიძე 61), თ. გაბრიჭიძე, ლონდაძე, კაციაშვილი, ლანჩავა (გუბელაძე 65), გეწაძე, წაქლაური, უკლება, ქებაძე (გ. თურმანიძე 65)

გურია: ვოლკოვი, თ. ღურწკაია, თევზაძე (წილოსანი 71), კოროტკოვი, განევი, ყოლბაია, ქიქავა, ხოსროშვილი, ო. კორდალიძე, გოდერძიშვილი, გაბარაშვილი

1:0, 2:0 ქებაძე (34, 60), 3:0 გუბელაძე (70), 3:1 გაბარაშვილი (75)

გაფრთხილება: კორდალიძე

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

პირველი მატჩი: 2:1

# ჩემპიონთა ლიგისკენ რიგის გავლით

ქართველი ფეხბურთელი რომ ცხრა მთას იქით გადაიხვეწება და ისიც „ჭ" ლიგაში, ამაზე ცუდი რა უნდა იყოს. ახალგაზრდა ფორვარდის დათო ჩალაძის რიგის „სკონტოში" გადასვლაც (მის კბილა ალექსანდრე რეხვიაშვილთან და ლევან სილაგაძესთან ერთად) ბევრმა უკანგადადგმულ ნაბიჯად აღიქვა, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ასე არ არის. პირიქით, ვთვლი, რომ დათო სწორად მოიქცა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბალტიისპირელებმა ამ ბოლო ხანს საკმაოდ მოუმატეს და ევროპას მთლად ფეხდაფეხ თუ არ მიჰყვებიან, ძალიან არ ჩამორჩებიან, მეორეც — დათო ქვეყნის ჩემპიონ გუნდში გადავიდა და არა რომელიღაც მაჩანჩალაში; მესამეც, მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება და ნორმალური ვარჯიშის საშუალებაც მიეცემა. მეოთხე და ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ჩალაძე 1997 წლის ზაფხულში ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის იბრძოლებს!

მიუხედავად იმისა, რომ დათო ჯერ 20 წლისაა, უკრაინაშიც უთამაშია, გერმანიაშიც და ისრაელშიც. მოკლედ, უცხოეთს გემო გაუგო. „სკონტოდან" სამშობლოში შვებულებით გამოშვებული დათო ჩალაძე „მერანი" — „გორდას" მატჩზე ვნახე...

**— დათო, შენი რიგაში მოხვედრის ისტორია გვიამბე...**

— ისრაელში ყოფნისას თარჯიმნობას გვიწევდა ლატვიელი სპეციალისტი. ისრაელში გასასინჯად რომ ჩავედი, გუნდში ხელმძღვანელობა შეიცვალა. თარჯიმანმა ჩვენი კოორდინატები ჩაინიშნა და ლატვიაში წასვლა შემომთავაზა. მართლაც, როდესაც გერმანიაში ვიყავი და ურდინგენის „ბაიერნში" კონტრაქტის გაფორმება არა და არ მოხერხდა, სილაგაძე, რეხვიაშვილი და მე რეზო ძოძუაშვილმა რიგას წაგვიყვანა. რამდენიმე ვარჯიში ჩავატარეთ, ლატვიის ოლიმპიურ ნაკრებს 5:0 მოვუგეთ და მყისვე კონტრაქტების დადება შემოგვთავაზეს. ჩემპიონატის ბოლომდე ოთხი ტური იყო დარჩენილი და სანამ საბუთებს გააფორმებდნენ, თამაში ვერც კი მოვასწარით...

**— როგორ ფიქრობ, სამწლიანი კონტრაქტი რიგის „სკონტოსთან" ცოტა ხანგრძლივი ხომ არ არის?**

— საქმე ისაა, რომ კონტრაქტი ჩვენთვის საკმაოდ ხელსაყრელადაა შედგენილი: თუკი ძლიერი უცხოური კლუბისგან მივიღებთ გადასვლის წინადადებას, რიგელები ხელს არ შეგვიშლიან. კონტრაქტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჩვენი გაშვება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძლიერი კლუბი მიგვიწვევს. კონტრაქტის დაწყების ვადა ამა წლის 1 ოქტომბერია. ვცხოვრობთ სამოთახიან ბინაში, მაგრამ, თუკი მოვითხოვთ, მაშინვე ცალ-ცალკე დაგვაბინავებენ. მალე მანქანასაც მომცემენ. ხელფასიც კარგი გვაქვს და პრემიებიც. გარდა ამისა, „სკონტოში" ასეთი წესი ჰქონიათ: სეზონის ბოლოს გუნდის მთავარი მწვრთნელი გამოჰყოფს სამ საუკეთესო ფეხბურთელს და მათ საკმაოდ სოლიდურ პრემიებს ურიგებს, არც სხვები რჩებიან გულდაწყვეტილნი. წახალისების ასეთი ფორმა კარგი სტიმულია ფეხბურთელებისთვის.

**— „სკონტოს" მწვრთნელზე რას გვეტყვი?**

— ალექსანდრე სტარკოვი გვწვრთნის, რიგის „დაუგავას" წარსულში ცნობილი ფორვარდი. სტარკოვი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწეცაა, რაკიღა „სკონტოდან" ნაკრებში, არც მეტი, არც ნაკლები, ათი კაცია!

**— თავად „სკონტო" რა გუნდია?**

— წელს ლატვიის ჩემპიონი გახდა. ამ ქვეყნის უმაღლეს ლიგაში 12 გუნდია, ორი წრის შემდეგ 6 საუკეთესო მედლებისთვის იბრძვის კვლავ ორ წრედ, ხოლო ბოლო ექვსი — ლიგაში დარჩენისთვის. „სკონტო" ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობს, თუმცა სტარკოვი ცდილობს, შეტევებს ტექნიკური ელფერი მისცეს. ამაზე ხშირად მესაუბრება ხოლმე.

**— თუ არის ლატვიაში საფეხბურთო სიტუაცია?**

— ლატვიაში ახლა ფეხბურთის ბუმია. იქაური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნამდვილი ფანატია, ძალასა და სახსრებს არ იშურებს ფეხბურთის განსავითარებლად. შენდება ახალი მანეჟები და სტადიონები, ჩამოჰყავთ ლეგიონერები. ეძებენ სპონსორებს, მოკლედ, ბევრს აკეთებენ საფეხბურთო დონის ასამაღლებლად. ჩემპიონატს აპრილიდან ოქტომბრამდე თამაშობენ...

**— გავიგე „სკონტოსთან" ერთად იტალიაშიც ყოფილხარ შეკრებაზე...**

— ერთკვირიან შეკრებაზე ვიყავით, ეს კლუბის ჩემპიონობის ფეშქაში იყო. პატარა ტურნირშიც ვითამაშეთ, მაგრამ, სამწუხაროდ ზედ წასვლის წინა დღეს ვიტკინე ფეხი და იტალიაში ტურისტად მომიწია ყოფნამ.



**— რა ტურნირი იყო?**

— სულ სამი გუნდი მონაწილეობდა, თითო-თითო ტაიმი ვეთამაშეთ ერთმანეთს. სერია B-ს „სალერნიტანასთან" წავაგეთ, მერე სერია C-ს ორ გუნდს მოვუგეთ, იმათი სახელები აღარ მახსოვს. სიტუაციაზე ხომ ნუ მკითხავ, მსგავსი საფეხბურთო აჟიოტაჟი ალბათ არსად არ არის მსოფლიოში...

სხვათა შორის, იტალიაშიც საგანგებოდ აკვირდებოდნენ ჩვენს გუნდს. რეზო ძოძუაშვილმა მითხრა, „სალერნიტანას" თავდამსხმელები სჭირდება და ჩვენი გუნდის ფორვარდს, ბაბიჩევს დაადგეს თვალიო. ბაბიჩევი ჩემპიონატში მეორე ბომბარდირი გახდა დაუგაველი მიხალსკის შემდეგ. ეტყობა, მან იცოდა, რომ აკვირდებოდნენ და ისე ითამაშა... მოკლედ, არაა გამორიცხული, „სალერნიტანამ" იყიდოს.

**— რა შთაბეჭდილება დაგრჩა იტალიურ ფეხბურთზე?**

— სერია A საოცრება მგონია და ალბათ ასეც არის. რაც შეეხება B-ს, იმედები გამიცრუვდა, გაცილებით ძლიერი მეგონა. ასე მგონია, სულ თავისუფლად ვითამაშებ „სალერნიტანაშიც" და სხვა გუნდებშიც. გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში, ურდინგენის „ბაიერნის" შემადგენლობაში რომ ვითამაშე კიოლნის „ფორტუნას" წინააღმდეგ, მეტი ბრძოლა და შეხლა-შემოხლა იყო. სერია C-ზე აღარაფერს ვამბობ. მოკლედ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ ფეხბურთელს თამაში უნდა, უმაღლეს ლიგაში უნდა წავიდეს. ჩემი აზრით, შედარებით სუსტი საფეხბურთო ქვეყნის უმაღლეს ლიგაში თამაში სჯობს ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის მეორე თუ მესამე დივიზიონებში ყოფნას.

**— ახლა ჩვენი ბიჭების შესახებაც ვთქვათ...**

— ალეკო რეხვიაშვილი საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს, ლევან სილაგაძე — მარჯვენა მცველად. ჩვენი ბიჭები მთელი თავით სჯობიან რიგელებს, ალბათ, ასეც უნდა იყოს — სხვაგვარად ძირითადში არავინ გათამაშებს. ალეკომ და ლევანმა იტალიაშიც ჩინებულად ითამაშეს.

**— რამდენადაც ვიცი, სილაგაძე ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული ინგლისთან. შენ თუ შეგეხმიანა გუცაევი?**

— ძოძუაშვილმა მითხრა, გუცაევს ინგლისის წინააღმდეგ თავდამსხმელები უკვე შეურჩევია, ახლა მცველები სჭირდებაო და ლევანიც ამიტომ გამოიძახეს, თუმცა ინგლისთან მაინც არ უთამაშია. რაც შეეხება ჩემს ნაკრებში თამაშს, რა თქმა უნდა, სიამოვნებით ჩამოვალ, თუ გამომიძახებენ. ოღონდ ეგაა — ყოყოჩობაში ნუ ჩამომართმევთ და, თუ მწვრთნელი არ მენდობა, ისა სჯობს, სულაც არ დამიძახოს, რადგან სკამზე ჯდომა ფორმიდან მაგდებს და ეს შემდეგ ფსიქოლოგიურადაც მოქმედებს ჩემზე. თუ მწვრთნელი მომიწვევს, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მათამაშებს და სკამზე არ დამსვამს.

**— ბატონი რეზო რა ფუნქციას ასრულებს „სკონტოში"?**

— მთავარი მწვრთნელის თანაშემწეა, თუმცა, როგორც შევიტყვე, არ არის გამორიცხული, ნაკრებშიც მიიწვიონ. უკვე გითხარი, რომ ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნამდვილი ფანატია და ქვეყნის ფეხბურთის გასაძლიერებლად ყველა ღონეს ხმარობს. რეზო ძოძუაშვილს რომ „სკონტოს" მწვრთნელის თანაშემწეობას არ აკმარებენ, არ არის ძნელი მისახვედრი. მითუმეტეს, რომ მას დიდ პატივს სცემენ და ძლიერ სპეციალისტად მიაჩნიათ...

**— სამომავლოდ რას აპირებ?**

— სამი წელი „სკონტოში" ნამდვილად არ გავჩერდები. მე მხოლოდ ის მაინტერესებს, როგორ შევეგუები ჩემთვის უცხო ჩემპიონატს და ამიტომ, ალბათ, კარგიც იქნება, თუ ერთ სეზონს რიგაში გავატარებ. აგერ ახლა ესენგეს ჩემპიონთა თასზე გვიწევს თამაში მოსკოვში. ჩვენს ჯგუფში ბელარუსის და თურქმენეთის ჩემპიონები გამოდიან, მესამე გუნდი რუსეთის ნაკრებია, ასე რომ, ქვეჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი გვაქვს. თუ თურქმენეთის ჩემპიონი ქართველებით დაკომპლექტებული „აშგაბატი" გახდა, ჩვენი მთავარი კონკურენტიც, ალბათ, ის იქნება. მეოთხედფინალში თუ გავედით, ჩვენი მეტოქე თბილისის „დინამოს" ქვეჯგუფიდან იქნება... ამ ტურნირს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის — გარდა იმისა, რომ გუნდში უნდა დავმკვიდრდე, ტურნირზე ჩამოსულ სელექციონერებსაც მინდა მოვაწონო თავი და ვინ იცის, იქნებ უფრო ძლიერ გუნდში გადავიდე.

**— მიღწეული რომ არ გაკმაყოფილებს და სულ წინსვლაზე ფიქრობ, ძალიან კარგია, მაგრამ, ალბათ, ამორჩეული გაქვს რომელიმე ქვეყანა, სადაც თამაში ოცნებად გაქვს გადაქცეული...**

— რა თქმა უნდა. იტალიაში ყოფნისას „ნაპოლი" — „პერუჯას" მატჩზე ვიყავი. განვცვიფრდი, თურმე როგორ ჰყვარებიათ იტალიელებს ფეხბურთი. ლევანი, ალეკო და მე მუდამ სპორტულ სამოსში გამოწყობილი დავდიოდით. აბა, ჩვენ ვინ გვიცნობს იტალიაში, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვაჩერებდნენ, რაღაცას გვეკითხებოდნენ და კმაყოფილებას ვერ მალავდნენ, რომ ფეხბურთელები გაიცნეს. კაცმა თუ ერთხელ ამოჰყო თავი ამ ფანტასტიურ სამყაროში, არა მგონია, სხვაგან თამაში მოუნდეს. ზემოთქმულ „ნაპოლ" — „პერუჯაზე" რა ხდებოდა, ამის აღწერა ჩემს ძალებს აღემატება...

**— ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის პერსპექტივაზე რას ამბობენ გუნდის ხელმძღვანელები?**

— მას შემდეგ, რაც ახალი დებულება გამოქვეყნდა, მეტი სალაპარაკო არა აქვთ. მთელი ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდეთ. საამისოდ არაფერს იშურებენ. მოსკოვის ტურნირსაც ლიგისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად მიიჩნევენ. მოკლედ, როცა ხელმძღვანელთაგან ასეთ მონდომებას ხედავ, შენც თამაშის გარდა სხვა არაფერი დაგრჩენია. თანაც კარგად მაქვს შეგნებული, რომ ლიგაში შეიძლება ერთხელ ითამაშო ცხოვრებაში. თუ ეს შანსი გამოვიყენეთ, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება. გარდა ამისა, უფრო ძლიერ კლუბში გადასასვლელად უკეთესი საშუალება არ არსებობს, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაში თავის გამოჩენა. მოკლედ, მართალი გითხრა, არ ვნანობ რიგაში გადასვლას. იქ ვიგრძენი, რომ ფეხბურთელი ვარ და ჩემი საქმე მხოლოდ ფეხბურთის თამაშია.

**მამუკა კვარაცხელია**

# ჩვენებური პაოკში — დათო კარიაული



კარიაული რომ საბერძნეთში გადავიდა, „სარბიელის" მკითხველს კარგად მოეხსენება. დათო სეზონის წინ სალონიკის „პაოკში" ისინჯებოდა. ბერძნებს ჩვენებური მოსწონებიათ, კონტრაქტი გაუფორმებიათ და მუდმივი ნომერი — 3-ც მიუციათ. შეგახსენებთ, რომ კარიაული საბერძნეთში შსს აკადემიიდან გადავიდა, თუმცა „მორკინალის" კუთვნილება იყო. ამჟამად დათო თბილისში იმყოფება — კუნთის ტრავმა აწუხებს და მკურნალობს. მისი საბერძნეთში მოხვედრის ამბავი უცხოელისთვის შეიძლება უჩვეულო და დაუჯერებელი იყოს, მაგრამ ქართველი ამას არ გაიკვირებს, რადგან ჩვენთან მენეჯერების დახმარების სისტემა მხოლოდ ახლა მკვიდრდება. მოკლედ, თავად დათოს მოვუსმინოთ.

— საბერძნეთში ჩემი ნათესავი მუშაობს. ერთხელ მან დამირეკა და მითხრა, საფეხბურთო წრეებში ნაცნობები მყავს და გასასინჯად ჩამოდიო. ჩავედი სალონიკში, „პაოკში" გამსინჯეს, 3 საკონტროლო შეხვედრა ჩავატარე და მაშინვე გუნდში ჩამრიცხეს.

**— რამდენი მოთამაშე გასინჯეს და რამდენი დატოვეს?**

— ოცდაათზე მეტი. აქედან ოთხნი დავრჩით.

**— მათგან ცნობილი არავინაა?**

— მხოლოდ მოსკოვის დინამოელი ანდრეი ჩერნიშოვი გეცოდინებათ. ჩერნიშოვის გარდა, კიდევ ორი მოთამაშე დაიტოვეს, ორივე პოლონელი, თუმცა, მათი გვარები არაფერს გეტყვით. ახლა ეს სამი სტაბილურად თამაშობს შემადგენლობაში. მე კი ვისვენებ, ტრავმის გამო ჩასვლის დღიდან ერთი შეხვედრაც არ მითამაშია.

**— ასეთი მოურჩენალი რა დაგემართა?**

— სეზონის დაწყებამდე აეკთან ამხანაგური მატჩის წინა დღეს ვარჯიშისას კუნთი გამიწყდა და მას მერე ვერა და ვერ მოვირჩინე. უკვე სამი თვეა, ვერ ვთამაშობ, შევუდგებოდი თუ არა ვარჯიშს, უარესი მემართებოდა. სულ სამჯერ გამოწყდა კუნთი. არადა, ადვილი მისახვედრია, რა ძნელია უცხოეთის გუნდში სამი თვე ასეთ მდგომარეობაში დაჰყო.

**— აქ კი ხმები გავრცელდა: „პაოკსა" და „მორკინალს" შორის უთანხმოება წარმოიშვა და კარიაულს ამიტომ არ ათამაშებენო...**

— პრობლემა მართლაც არსებობს, მაგრამ რომელ თამაშზეა ლაპარაკი, როცა ტრავმა მაწუხებს და ვარჯიშითაც ვერ ვვარჯიშობ? მოკლედ, ეგ ხმები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

**— რამ წარმოქმნა ეს პრობლემა?**

— ბერძნები ჩემს გამოჯანმრთელებას ელოდებიან. ფიქრობენ, იქნებ ვერ განიკურნოს და ფული ტყუილად რატომ გადავყაროთო. როგორც კი ფორმაში ჩავდგები, ყველა პრობლემა თავისთავად მოგვარდება.

**— ჩვენთან საბერძნეთიდან ძალე მწირი ინფორმაცია მოდის. იქნებ ქეცბაიას შესახებ გვითხრა რამე ახალი...**

— იგი ძალზე პოპულარულია საბერძნეთში, ყველას მისი გადაბირება სურს, მათ შორის, ჩემს „პაოკსაც", მაგრამ უფრო მაღალი დონის გუნდშია და, ბუნებრივია, თუ წავა, მხოლოდ სხვა ქვეყნის უფრო ძლიერ კლუბში. მე არ მქონია საშუალება, ქეცბაიას ყველა თამაში მენახა, მაგრამ რამდენიმეს ნახვამაც დამარწმუნა, რომ თემური მართლაც კარგ ფორმაშია. საბერძნეთში იგი საუკეთესო მოთამაშად ითვლება. ქეცბაიას გარდა, იქ საქართველოში რეზო გაგუას გაზრდილი, კიდევ ერთი ფეხბურთელი თამაშობს, ეს საბერძნეთის მოქალაქეობამიღებული, ქვეყნის ნაკრების წევრი, ნინიადისია. ანდრეი „ოლიმპიაკოსში" თამაშობს და, სხვათა შორის, ძალიან კარგადაც.

**— ბერძნები ქართველი მოთამაშეებით არ არიან დაინტერესებული?**

— არიან, როგორ არა. მათ კარგად იციან, რომ ჩვენთან ნიჭიერი და, რაც მთავარია, იაფად ღირებული ფეხბურთელები არიან. სალონიკის „არისის" ხელმძღვანელობამაც კითხა, ჩვენთვის თავდამსხმელი ხომ არ გეგულებაო. წამოსვლის წინ მთხოვეს კიდეც, იქნებ ვინმე წამოიყვანო გასასინჯადო.

**— შერ რა, მენეჯერის ფუნქციაც დაგაკისრეს?**

— არა, მენეჯერობის რა გითხრა. ეს თხოვნა იყო, სხვა არაფერი. მათ თავდამსხმელი სჭირდებათ, ქეცბაიამ კი ჩვენს ფეხბურთს ისეთი რეკლამა გაუკეთა... ამიტომაც დამეკითხნენ. ოღონდ, ბერძნებს მართლაც კარგი მოთამაშე სჭირდებათ.

**— ჩვენი პირობების შემდეგ საბერძნეთში ჩასული ბევრ ყოფით პრობლემას მოაგვარებდი...**

— ამ მხრივ განსხვავება მართლაც დიდია. რომ არ წავსულიყავი, ბევრს დავკარგავდი. პირობები ყველანაირად უკეთესია — საყოფაცხოვრებოც და სავარჯიშოც. შენ მხოლოდ უნდა ივარჯიშო. იქაური პირობების შემდეგ ძნელიც კია უკან, საქართველოში დაბრუნება. ძნელი კი არა, უაზრობაა. საქართველოში უკვე აღარ ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ და რა უნდა მოხდეს ისეთი, აზრი რომ შევიცვალო.

**— რამდენადაც ვიცი, გუცაევმა რამდენჯერმე გამოგიძახა და ტრავმების გამო ნაკრებში თამაში ვერ მოახერხე...**

— ამაზე ნამდვილად მწყდება გული — იტალიისწინა შეკრებაზეც გამომიძახა და ინგლისთან სათამაშოდაც. მაგრამ რა მექნა, ინგლისელებთან შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე მესამედ გამიწყდა კუნთი. არადა, რა თამაშები მელოდა... შეიძლებოდა თავის გამოჩენა. თუმცა, რაც იყო, იყო. მთავარია, მალე მოვიშუშო ფეხი და ვარჯიშიც მალე დავიწყო. სულ ასე ხომ არ გაგრძელდება.

**— როგორ ამჩნევ, გაუთავებელი ტრავმების გამო „პაოკის" მწვრთნელს შენზე გული ხომ არ აუცრუვდა?**

— არა მგონია. ჩემი დატოვება რომ არ სდომებოდა, აქამდეც გამომიშვებდა. სხვათა შორის, „პაოკს" გამოცდილი მწვრთნელი, „გიოტებორგის" ყოფილი თავკაცი ბენქსტონი ავარჯიშებს. ბენქსტონმა მითხრა კიდეც, შენს გამოჯანმრთელობას ველოდებიო, მაგრამ არა და არ დამადგა საშველი, მესამედაც იგივე რომ შემემთხვა, ვუთხარი, საქართველოში სამკურნალოდ წავალ-მეთქი. რატომღაც არ უნდოდა. ბოლოს მაინც ჩემი გავიტანე. ჩამოსვლისას ზაქრო თელიამ მითხრა, ბეწვზე გადარჩენილხარ, კიდევ კარგი კუნთმა გაძვალება არ დაიწყოო. 10 დეკემბერს სალონიკში უნდა ჩავიდე, რამდენიმე დღის შემდეგ მსუბუქ ვარჯიშებს დავიწყებ და მაშინ უფრო დაზუსტებით მეცოდინება, როდის შევძლებ მოედანზე გასვლას.

**— ორიოდე სიტყვით საბერძნეთის პირველობაზეც გვითხარი...**

— ძალზე დაძაბული ჩემპიონატია. ყველა შეხვედრაში ნამდვილი ბრძოლაა. ყოფილა თამაშები, რომელთა ბედი მაყურებელთა მხარდაჭერას გადაუწყვეტია. ფეხბურთის ნამდვილი ფანატები არიან.

**— თავად „პაოკზე" რას იტყვი?**

— ჯერჯერობით, მე-9 ადგილზეა და ეს გულშემატკივრებს სულაც არ აკმაყოფილებთ. „პაოკი" ყოველთვის ბერძნული ფეხბურთის ელიტაში იყო და მისგან მხოლოდ წარმატებას ელიან. თუმცა, ბოლო წლებში გუნდს ჩავარდნა ჰქონია. ეხლა მას გაძლიერება ესაჭიროება, განსაკუთრებით, თავდასხმაში, თუ ეს მოხერხდა, „პაოკი" კვლავ დაუბრუნდება ლიდერთა რიგებს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ინგლისი

XV ტური

### ნიუკასლი 1:2 არსენალი

**ნიუკასლი:** სრნიჩეკი, პიკოკი, ალბერი, ელიოტი, გილესპი, ბეტი, ლი (უოტსონი 77), ბერდსლი, ჟინოლა, ასპრილია (კიტსონი 46), შირერი

**არსენალი:** ლუკიჩი, დიქსონი, ბოულდი, ადამსი, კეონი (მოროუ 74), ვინტერბერნი, ვიეირა, პლატი, მერსონი (პერლოუ 82), ჰარტსონი (ლინიგენი 29), რაიტი

**გოლები:** შირერი (21); დიქსონი (11), რაიტი (60)

**გაფრთხილება:** პიკოკი, ლი, ბერდსლი, პლატი, რაიტი, დიქსონი, მერსონი

**გაძევება:** ადამსი

მასპინძელთათვის მოულოდნელად ანგარიში დიქსონმა გახსნა რაიტის გადაცემით. ეს მისი მეორე გოლია ამ სეზონში. სტუმრები მხოლოდ 10 წუთს იყვნენ წინ, შემდეგ კი ალან შირერმა თავურით წლევანდელ სეზონში მეათე გოლი გაიტანა. უკვე შვიდი შეხვედრაა, რაც შირერი მოედნიდან უგოლოდ არ გადის. ანგარიშის გათანაბრებიდან ორი წუთის შემდეგ, მსაჯმა გრემ ბარბერმა შირერის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის გააძევა ტონი ადამსი. ლონდონელთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ჰარტსონის შემცვლელად გაყვანილი ლინიგენით დაცვის ხაზი გააძლიერა. პირველი ტაიმის სიმძაფრეზე ისიც მეტყველებს, რომ მსაჯმა ერთ წითელ ბარათს ხუთი ყვითელიც მოაყოლა. პირველ ნახევარში უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო, თუმცა „მეთოფეები" სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდნენ. ტაიმის მიწურულს დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა „ნიუკასლის" კოლუმბიელი ფორვარდი ასპრილია. მეორე ნახევარშიც, პირველის მსგავსად, მასპინძლები უფრო ყოჩაღობდნენ, თუმცა ლონდონელთა ერთ-ერთი კონტრშეტევა გაეპარათ და ეს მათ ჩემპიონატის ლიდერობის დაკარგვად დაუჯდათ. პოლ მერსონმა გარღვევაზე გაიყვანა იან რაიტი, შავკანიანმა ფორვარდმაც ჯერ ალბერი მოატყუა და მერე სრნიჩეკსაც გაუტანა. მატჩის მიწურულს ჟინოლასთან უხეშობისთვის გააფრთხილეს მერსონი. ნიუკასლელთაგან ჟინოლა ერთადერთი იყო, შეხვედრის ბოლომდე რომ აქტიურობდა.

### ასტონ ვილა 1:0 მიდლსბრო

**ასტონ ვილა:** იუქსი, ნელსონი, რაიტი, ეჰიოგუ, სტონტონი, შიმეცა, თაუნსენდი, ტეილორი, დრეიპერი, მილოშევიჩი, იორკი

**მიდლსბრო:** უოლში, კოქსი, უაითი, ფლემინგი, სტამპი, ჰინეტი, მორისი, მასტო, ბუქი, ჟუნინიო (კემპბელი 59), რავანელი

**გოლი:** იორკი (39 პ)

**გაფრთხილება:** რაიტი, მილოშევიჩი, ფლეინმინგი, კოქსი, მასტო

მასპინძელთა რიგებში შვიდკვირიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მილოშევიჩი. 39-ე წუთზე სწორედ მან მიაწოდა ბურთი დუაიტ იორკს, რომელიც ნილ კოქსმა აკრძალული ხერხით შეაჩერა საჯარიმოში. პენალტი თავად დაარტყა, ზუსტად და მერვე გოლიც გაიტანა. ბირმინგემელებს საუთგეიტი აკლდათ, მაგრამ მის ნაცვლად მოთამაშე რიკარდო შიმეცამ გაამართლა. პირველ ნახევარში „ასტონ ვილას" უპირატესობა საგრძნობი იყო. სტუმართაგან გამოირჩეოდა ბრაზილიელი ჟუნინიო. გოლის გატანა შეეძლო რავანელის, მაგრამ ბექის ჩაწოდება ვერ გამოიყენა. მეორე ნახევარში მასპინძლებმა გვარიანად შეავიწროვეს მეტოქე, თუმცაღა იორკმა, დრეიპერმა და თაუნსენდმა კარის ალების რამდენიმე რეალური შანსი დაჰკარგეს. შეხვედრის მიწურულს სტუმართა მეკარემ უოლშმა თაუნსენდი წააქცია საჯარიმოში, არბიტრმა გარი ვილიარდმა წესის დარღვევა არ დააფიქსირა.

### ბლექბერნი 2:1 საუთჰემპტონი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი (დონისი 72), ვილკოქსი, სატონი, მაკკინლი (ბოჰინენი 65), ბერგი, ფლიტკროფტი

**საუთჰემპტონი:** ვუდსი (ბიზანტი 25), დოდი, მეჯილტონი მონკოუ, მედისონი (რობინსონი 59), ჩარლტონი, ოუკლი, დრეიდენი, ბერკოვიჩი (ლუნდეკვამი 85), ოსტენსტადი, ვან გობელი

**გოლები:** შერვუდი (27), სატონი (87); ოსტენსტადი (61 პ)

**გაფრთხილება:** ვილკოქსი, სატონი, მედისონი, ვან გობელი, მონკოუ

**გაძევება:** ვან გობელი

მატჩი მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათ უფრო დამაჯერებლადაც უნდა გაემარჯვათ, მაგრამ ხან თავდამსხმელები აცუდებდნენ მომენტებს, ხან კი ვუდსი ირჯებოდა კარგად. მანამდე, სანამ ჰენდრისთან შეჯახებისას მძიმედ დაშავდა და სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. სტუმრებს აკლდათ დაშავებული მეტიუ ლე ტისიე. 25-ე წუთზე კარგად შეასრულა საჯარიმო შერვუდმა, ორი წუთის შემდეგ კი თავურით ანგარიშიც გახსნა. მეორე ნახევარშიც მასპინძლები უტევდნენ. „საუთჰემპტონს" მეორე ტაიმის შუიდან 10 კაცით თამაშმა მოუწია — ჰოლანდიელმა ვან გობელმა სატონთან ორთაბრძოლაში მეორე გაფრთხილება მიიღო. 61-ე წუთზე კი მასპინძლებმა საჯარიმოში წესი დაარღვიეს და ოსტენსტადმა პენალტით ანგარიში გაათანაბრა. გაშვებულმა გოლმა „ბლექბერნი" დააბნია და კინაღამ მეორეც გაუშვა, თუმცა მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე სატონმა ივარგა.

### ლიდსი 2:0 ჩელსი

**ლიდსი:** მარტინი, კელი, პალმერი, რადებე, უეზეროლი, შარპი, რაში, დინი, ბოუერი, ფორდი, ბისლი

**ჩელსი:** გროდასი, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, ვიალი, ჰიუზი (სინკლერი 76), უაიზი (ნიუტონი 45), დაბერი, დი მატეო (გულიტი 45), მინტო, ძოლა

**გოლები:** დინი (8), რაში (10)

**გაფრთხილება:** ბისლი, დინი, კელი, გულიტი, ლებეფი, ჰიუზი

საწყის 10 წუთშივე გაშვებულმა ორმა გოლმა ჩელსელთა თამაში საკმაოდ არია, — გააზრებულად შეტევა მათ მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს, მანამდე კი გულიტის გუნდი თავს არ ჰგავდა. ბრაიან დინმა მე-8 წუთზე ლამაზი გარღვევა გოლით დააგვირგვინა, ორი წუთის შემდეგ კი იან რაშმა პირველი გოლი გაიტანა მას შემდეგ, რაც „ლივერპულიდან" „ლიდსში" გადავიდა: მასპინძელთა შეტევისას რუმინელი პეტრესკუ შეცდა, ბურთი უელსელს მიუვიდა და მანაც გროდასს მეორედ გამოატანინა ბურთი კარიდან. მეორე ნახევარში „ჩელსიმ" ნელ-ნელა ააწყო თამაში, გულიტმა უნიათოდ მოთამაშე დი მატეო შეცვალა და ლონდონელებს გატანის შანსიც მიეცათ, მაგრამ მარტინს ვერ აჯობეს. ერთ-ერთ მომენტში მან ბრწყინვალედ მოიგერია მარკ ჰიუზის ძლიერი დარტყმა. ეს უკანასკნელი საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე ტრავმის გამო შეცვალეს. ბოლო ოთხ თამაშში მოპოვებულმა სამმა გამარჯვებამ მასპინძლები სახიფათო ზონას ააცილა.



ლიდსი — ჩელსი. ჯანლუკა ვიალი ლიდსელი კარლტონ პალმერისა და ლი ბოუიერის გარემოცვაში

### დერბი 2:1 ქოვენთრი

**დერბი:** ჰოულტი, ლაუერსენი, იატისი, როუეტი, მაკგართი (დეილი 71), შტიმაცი, ფლინი, პაუელი, ასანოვიჩი (კერსლი 89), სტარიჯი, უორდი

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, უილიამსი, დეიში, ჯესი, ვილანი, დაბლინი, მაკალისტერი, სალაკო (სტრაჩანი 85), ტელფერი, ჰაკერბი

**გოლები:** ასანოვიჩი (12 პ), უორდი (79); დაბლინი (43)

**გაფრთხილება:** შტიმაცი, დაბლინი, ტელფერი

უკვე 10 მატჩია, „ქოვენთრის" გამარჯვების სიხარული არ განუცდია, ეს მარცხი კი ამ გუნდისთვის პირველი იყო ახალი მწვრთნელის გორდონ სტრაჩანის ხელში. მე-12 წუთზე შოუმ უორდი წააქცია, პენალტი კი ალიოშა ასანოვიჩმა გაიტანა. ტაიმიც თითქოს ამ ანგარიშით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ დაბლინმა სალაკოს ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა. მეორე ნახევრის დასაწყისში „ქოვენთრის" უპირატესობა იყო, თუმცა იმავე დაბლინმა ანგარიშის შეცვლის ორი შანსი გააცუდა. შეხვედრის დასასრულამდე 11 წუთით ადრე ასანოვიჩის საჯარიმო დარტყმის შემდეგ იატსმა ბურთი კარგად დაუგდო უორდს, რომელმაც ბოლო 5 მატჩში მეოთხე გოლი გაიტანა.

### ევერტონი 1:3 სანდერლენდი

**ევერტონი:** საუთჰოლი, ბარეტი, უოტსონი, ანსუორსი, ჰინჩკლიფი (შორტი 80), კანჩელსკისი (ბრენჩი 62), პარკინსონი, გრანტი (ფერგიუსონი 52), სპიდი, სტუარტი, ბარმბი

**სანდერლენდი:** პერესი, ჰოლი, ბოლი, სკოტი, მელვილი, კუბიკი, ბრაისველი, სმიტი (გრეი 76), რასელი (ბრიჯისი 70), რეი (ეგნიუ 82), კელი

**გოლები:** ფერგიუსონი (64); რასელი (54), ბრიჯისი (74, 87)

**გაფრთხილება:** გრანტი, ბრაისველი, ბოლი, გრეი

ამ მარცხმა შეწყვიტა „ევერტონის" წაუგებელ მატჩთა სერია. „სანდერლენდმა" აგვისტოს შემდეგ სტუმრად ერთი გოლიც ვერ გაიტანა, ახლა კი ერთბაშად 3 შეაგდო. მეორე ნახევრის დაწყებიდან 40 წამის შემდეგ ლივერპულელმა სტიუარტმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა. პირველად რასელმა დააწინაურა თავისიანები. ათი წუთის შემდეგ დაშავებული გრანტის ნაცვლად შესულმა ფერგიუსონმა ჰინჩკლიფის მოწოდებული კუთხურის შემდეგ თავურით გაათანაბრა ანგარიში. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა მაიკლ ბრიჯისმა შეცვლაზე შესვლიდან 4 წუთში დალაშქრა საუთჰოლის კარი. სამი წუთის მერე საუთჰოლს ზედიზედ სამჯერ დაურტყეს, მაგრამ სამჯერვე იხსნა კარი, 87-ე წუთზე კი ბრიჯისმა გაამწარა.

### მანჩესტერი 3:1 ლესტერი

**მანჩესტერი:** შმაიხელი, ნევილი, ირვინი, მეი, პალისტერი, კანტონა, ბათი, ბექემი, გიგზი (პობორსკი 85), კრუიფი (სოლსკიაერი 58), კინი

**ლესტერი:** კელერი, გრეისონი, პრაიორი, უოტსი, იზეტი, ლენონი, პარკერი, კემპბელი (ლიუსი 83), მარშალი, კლერიჯი, ჰესკი

**გოლები:** ბათი (75, 87), სოლსკიაერი (85); ლენონი (90)

**გაფრთხილება:** პალისტერი, ჰესკი

„ოლდ ტრეფორდზე" შეკრებილმა 55 000 მაყურებელმა ძალიან ლამაზი და მოულოდნელობებით ალსავსე ბოლო 15 წუთი იხილა. სტუმართა გუნდს ტრავმების გამო აკლდნენ უიტლოუ, უოლში და ტეილორი. პირველ ნახევარში თამაშის ტემპი საკმაოდ ნელი იყო, ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. მეორე ნახევრიდან მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. გოლის გატანის შანსი ჰქონდათ გიგზს, კანტონას, კრუიფს, ბექემს. 75-ე წუთიდან კი იშვიათი სანახაობა დაიწყო. როი კინის რეიდის შემდეგ კელერის კარში პირველი ბურთი გაახვია ბათმა, 10 წუთის შემდეგ შეცვლაზე შესულმა ახალგაზრდა ნორვეგიელმა თავდამსხმელმა სოლსკიაერმა დააგვირგვინა პალისტერისა და გიგზის წამოწყებული შეტევა. მანჩესტერელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ამ გოლის შემდეგ გიგზი ჩეხი პობორსკით შეცვალა. ორი წუთის შემდეგ პირველი გოლის ავტორმა ბათმა ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდა. შეხვედრა თითქოს ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ წამატებულ დროში ნილ ლენონმა ერთი ბურთი გაქვითა.

### შეფილდი 0:0 ვესტ ჰემი

**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, ნოლანი (ოუქსი 46), ჰემბრიჯი, უოქერი, უიტინგემი, კარბონე, ბუთი, ჰეიდი, ბრისკო (ნიკოლი 40), ტრასტფული (ჰამფრიზი 70)

**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, ბრეიკერი, დიქსი, ბიშოპი, დრეიპერი, როულენდი, დაუი, მონკური, ჰიუზი (ლაზარიდისი 89), ლამპარდი, ბილიჩი

ექვსი მატჩია, „შეფილდმა" მარცხი არ იცის, მაგრამ ეს ვერაფერი სანუგეშო შედეგია: გუნდი ხუთ ფრეს დასჯერდა აუტსაიდერებთან, ერთხელაც ცხრილის ბოლოში მყოფ „ნოტინგემს" აჯობა. „შეფილდს" საკმაო პრობლემები აქვს შეტევის ხაზში, ბოლო ექვს შეხვედრაში, თავდამსხმელებმა მხოლოდ ხუთჯერ გაიტანეს გოლი, არადა, დეკემბერში გუნდს დიდი გამოცდა ელის — ზედიზედ უნდა ეთამაშოს „ლივერპულს", „მანჩესტერ იუნაიტედს", „ტოტენჰემს", „არსენალს", „ჩელსის" და თუ ისევე ითამაშა, როგორც „ვესტ ჰემთან", მაშინ მომავალ 26 დღეში ქულის აღებაც გაუჭირდებათ. მასპინძელთა თავდასხმის ხაზი ისე უჯიგროდ თამაშობდა, რომ ლონდონელთა ჩეხ მეკარე მილკოშკოს 68-ე წუთამდე საქმე არ გამოსჩენია, ამ წუთზე კი მან შეხვედრის დაწყებიდან ერთადერთი ზუსტი დარტყმა აუღო კარბონეს. მეორე ნახევრის შუიდან „შეფილდის" შეტევები უფრო სახიფათო გახდა, განსაკუთრებით მას მერე, რაც მოედანზე ჰამფრიზი შევიდა. მას დაბადების დღე ჰქონდა. 19 წლისა შესრულდა და გოლის გატანა უნდოდა, მაგრამ თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და იუბილარმა თავდამსხმელმაც მოედანი გაწბილებულმა დატოვა.

### უიმბლდონი 1:0 ნოტინგემი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კემბელი, ჯოუნზი, ბლექველი, ლეონარდსენი (ჰარფორდი 84), ერლი, კუპერი, ჩეტლი, ფილიპსი, სონდერსი, კემპბელი, ალენი, ჰაალანდი, ბლატერვიკი

**გოლი:** ერლი (37)

**გაფრთხილება:** ჯოუნზი, კანინგემი, ბლატერვიკი

მასპინძლები აგერ უკვე 17 მატჩია არ დამარცხებულან, ახლაც ერთ დროს ჩემპიონთა თასის მფლობელი, ახლა კი მაჩანჩალა „ნოტინგემი" დაამარცხეს. რობი ერლის მიერ გატანილი გოლი მისთვის მეექვსეა სეზონში. მანამდე და მერეც გატანა შეეძლოთ თავდამსხმელებს სონდერსს და კემპბელს, მაგრამ კარგად ითამაშა სალივანმა. „ნოტინგემს" უკვე 14 მატჩი არ მოუგია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 15 | 9 | 4 | 2 | 29:13 | 31 |
| ნიუკასლი | 15 | 9 | 2 | 4 | 26:17 | 29 |
| ლივერპული | 14 | 8 | 4 | 2 | 24:13 | 28 |
| უიმბლდონი | 15 | 8 | 4 | 3 | 26:16 | 28 |
| მანჩესტერი | 15 | 7 | 5 | 3 | 29:22 | 26 |
| ასტონ ვილა | 15 | 7 | 3 | 5 | 19:15 | 24 |
| ჩელსი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:21 | 24 |
| ევერტონი | 15 | 6 | 5 | 4 | 23:18 | 23 |
| დერბი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:17 | 21 |
| შეფილდი | 15 | 5 | 6 | 4 | 16:18 | 21 |
| ტოტენჰემი | 14 | 6 | 2 | 6 | 15:14 | 20 |
| ლიდსი | 15 | 6 | 1 | 8 | 15:20 | 19 |
| ვესტ ჰემი | 15 | 4 | 5 | 6 | 13:18 | 17 |
| სანდერლენდი | 15 | 4 | 5 | 6 | 13:18 | 17 |
| ლესტერი | 15 | 5 | 2 | 8 | 14:21 | 17 |
| მიდლსბრო | 15 | 3 | 5 | 7 | 20:26 | 14 |
| საუთჰემპტონი | 15 | 3 | 4 | 8 | 23:28 | 13 |
| ბლექბერნი | 15 | 2 | 6 | 7 | 15:20 | 12 |
| ქოვენთრი | 15 | 1 | 7 | 7 | 9:21 | 10 |
| ნოტინგემი | 15 | 1 | 6 | 8 | 12:25 | 9 |

## პირველი დივიზიონი

XXI ტური

### ვულვერჰემპტონი 3:0 სიტი

**სიტი:** მარგეტსონი (დიბლი 5), კრუკსი, ბრაისველი, ლომასი, საიმონსი, უაალი, სამერბი, უიტლი, დიკოვი (კლაფი 71), ქინქლაძე, როსლერი

**გოლი:** დენისონი (80), რობერტსი (46, 54)

გამარჯვებამ მასპინძლები მეექვსე ადგილზე აანაცვლა, ახლა ისინი 2 ქულითღა ჩამორჩებიან მეორე ადგილზე მყოფ „კრისტალ პალასს", ისედაც სახიფათო ზონაში მყოფმა „სიტიმ" კი თითქმის უიმედოდ გაიხადა საქმე. დაიწყო თუ არა მატჩი, „სიტის" ძირითად მეკარეს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და სათადარიგოთი შესაცვლელი შეიქნა. პირველ ტაიმში მასპინძლებმა რამდენიმე რეალური შანსი ვერ გამოიყენეს, მეორე ნახევრის პირველსავე წუთზე კი ივან რობერტსმა „სიტის" განადგურებას დაუდო სათავე: საიმონსმა და დიბლმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, ბურთი დენისონს მიუგორდა. ამან ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი რობერტსი მოძებნა და ამ უკანასკნელმა თავურით ანგარიში გახსნა. რობერტსმა ერთხელაც გამოატანინა დიბლის ბურთი კარიდან: მან კარგი გადაცემა მიიღო ბელისგან, დაარტყა კიდეც, მეკარემ მოიგერია. მეორე დარტყმა კი [illegible] „ვულვერჰემპტონის" მერე შეტევა და დენისონმა მესამე ბურთი „სიტის" [illegible] დაამთავრა.

ლაშა გოდუაძე

**დანარჩენი მატჩები:** ბოლტონი — ბარნსლი 2:2, ბრედფორდი — ვესტ ბრომვიჩი 1:1, გრიმსბი — კრისტალ პალასი 2:1, ნორვიჩი — ბირმინგემი 0:1, ოქსფორდი — ჩარლტონი 0:2, პორტ ველი — ჰადერსფილდი 0:0, პორტსმუთი — სტოკ სიტი 1:0, ქუინზ პარკი — შეფილდ იუნაიტედი 1:0, საუთენდი — ოლდემი 1:1, სვინდონი — რედინგი 3:1, ტრანმერი — იფსვიჩი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 21 | 11 | 8 | 2 | 43:28 | 41 |
| კრ. პალასი | 20 | 9 | 7 | 4 | 44:20 | 34 |
| ბარნსლი | 19 | 9 | 7 | 3 | 35:26 | 34 |
| შეფილდი | 19 | 9 | 6 | 4 | 34:19 | 33 |
| ტრანმერი | 20 | 9 | 5 | 6 | 31:22 | 32 |
| ვულვზი | 20 | 9 | 5 | 6 | 29:21 | 32 |
| ნორვიჩი | 19 | 9 | 5 | 5 | 27:19 | 32 |
| ბირმინგემი | 20 | 8 | 6 | 6 | 23:21 | 30 |
| სვინდონი | 21 | 9 | 2 | 10 | 32:26 | 29 |
| ოქსფორდი | 21 | 8 | 5 | 8 | 25:19 | 29 |
| პორტსმუთი | 21 | 7 | 5 | 9 | 25:28 | 26 |
| ჩარლტონი | 19 | 8 | 2 | 9 | 21:28 | 26 |
| იფსვიჩი | 21 | 6 | 7 | 8 | 27:32 | 25 |
| ქუინზ პარკი | 21 | 6 | 7 | 8 | 23:28 | 25 |
| ჰადერსფილდი | 20 | 6 | 7 | 7 | 22:25 | 25 |
| პორტ ველი | 21 | 5 | 10 | 6 | 18:22 | 25 |
| ვესტ ბრომვიჩი | 20 | 5 | 9 | 6 | 26:31 | 24 |
| სტოკ სიტი | 18 | 6 | 6 | 6 | 24:30 | 24 |
| საუთენდი | 21 | 5 | 9 | 7 | 23:33 | 24 |
| რედინგი | 20 | 6 | 5 | 9 | 23:32 | 23 |
| სიტი | 21 | 7 | 2 | 12 | 23:33 | 23 |
| ბრედფორდი | 21 | 5 | 6 | 10 | 19:34 | 21 |
| გრიმსბი | 21 | 5 | 5 | 11 | 24:41 | 20 |
| ოლდემი | 21 | 4 | 8 | 9 | 23:26 | 20 |

## გერმანია

მე-16 ტური. დორტმუნდი — ჰამბურგი 1:1 (რიკენი 23; ბარონი 79), მიონხენგლადბახი — დუისბურგი 0:1 (მარინი 84), ჰანზა — არმინია 3:1 (აკპობორი 14, 55, ბაინლისი 55; რეები 30), ფრაიბურგი — შალკე 04 2:3 (სუტერი 17, ზეიერი 46; ანდერბრიუგე 45, მაქსი 82, 87 მიუნხენი — კარლსრუე 1:1 (ცინკლერი 54; დანდი 53), დიუსელდორფი — ვერდერი 4:1 (ბაბი 8, იურანი 23, 66, ნილსენი 89; ფაიფენბერგერი 61), ლევერკუზენი — კიოლნი 4:2 (ჰაპე 48, კირსტენი 61, ხერეიო 66, ბაუმანი 86 ს.კ; ანდერსენი 82, ვლადოიუ 88), შტუტგარტი — ბაიერნი 1:1 (ვერლაატი 80; ბაზლერი 7), ზანქტ პაული — ბოხუმი დიდთოვლობის გამო 8 თებერვლისთვის გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 16 | 10 | 3 | 3 | 36:20 | 33 |
| ბაიერნი | 16 | 9 | 6 | 1 | 26:14 | 33 |
| შტუტგარტი | 16 | 9 | 4 | 3 | 39:17 | 31 |
| დორტმუნდი | 16 | 9 | 4 | 3 | 33:17 | 31 |
| კიოლნი | 16 | 8 | 2 | 6 | 31:27 | 26 |
| ბოხუმი | 15 | 7 | 5 | 3 | 21:19 | 26 |
| კარლსრუე | 16 | 7 | 4 | 5 | 27:20 | 25 |
| შალკე 04 | 16 | 6 | 4 | 6 | 23:26 | 22 |
| ვერდერი | 16 | 6 | 3 | 7 | 28:27 | 21 |
| დუისბურგი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:22 | 19 |
| ზტ.პაული | 15 | 5 | 3 | 7 | 21:28 | 18 |
| ფორტუნა | 16 | 5 | 3 | 8 | 13:24 | 18 |
| ჰამბურგი | 16 | 4 | 5 | 7 | 20:25 | 17 |
| მიუნხენი | 16 | 4 | 5 | 7 | 24:30 | 17 |
| არმინია | 16 | 4 | 4 | 8 | 18:28 | 16 |
| ჰანზა | 16 | 4 | 3 | 9 | 19:24 | 15 |
| მგლადბახი | 16 | 4 | 3 | 9 | 12:22 | 15 |
| ფრაიბურგი | 16 | 4 | 1 | 11 | 20:37 | 13 |

### მეორე ბუნდესლიგა

მე-16 ტური. ვოლფსბურგი — უერდინგენი 1:0; როტ ვაისი — მეპენი 2:1; ლაიპციგი — კოკერსი 0:0; ჰერტა — კარლ ცაისი 0:1; ლიუბეკი — ცვიკაუ 1:1; გიუტერსლო — უნტერჰახინგი 1:1; ფორტუნა — მაინცი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაისერსლაუტერნი | 15 | 8 | 6 | 1 | 26:9 | 30 |
| მაინცი | 16 | 7 | 6 | 3 | 29:20 | 27 |
| ვოლფსბურგი | 16 | 6 | 8 | 2 | 20:11 | 26 |
| ფორტუნა | 16 | 6 | 6 | 4 | 30:20 | 24 |
| კოკერსი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:17 | 23 |
| მეპენი | 16 | 5 | 8 | 3 | 20:18 | 23 |
| ლაიპციგი | 16 | 6 | 5 | 5 | 28:27 | 23 |
| ჰერტა | 15 | 6 | 4 | 5 | 23:16 | 22 |
| კარლ ცაისი | 16 | 5 | 7 | 4 | 22:21 | 22 |
| უერდინგენი | 16 | 6 | 3 | 7 | 23:20 | 21 |
| უნტერჰახინგი | 16 | 3 | 12 | 1 | 12:12 | 21 |
| გიუტერსლოო | 16 | 6 | 3 | 7 | 17:22 | 21 |
| აინტრახტი | 15 | 5 | 4 | 6 | 21:20 | 19 |
| მანჰაიმი | 15 | 4 | 5 | 6 | 22:27 | 17 |
| ცვიკაუ | 16 | 4 | 4 | 8 | 16:22 | 16 |
| როტ ვაისი | 16 | 5 | 1 | 10 | 22:37 | 16 |
| ლიუბეკი | 16 | 2 | 7 | 7 | 11:26 | 13 |
| ოლდენბურგი | 15 | 2 | 4 | 9 | 16:34 | 10 |

# იტალია

## სერია A

## XI ტური

### ინტერი 2:2 კალიარი

42 000 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, ძანეტი, პაგანინი, გალანტე (ბერტი 66), პისტონე (ვინტერი 56), ანგლომა, ფრეზი, ხფორცა, ჯორკაეფი, განცი (ბრანკა 73), ხამორანო

კალიარი: პასკოლო, პანკარო, ვეგა, ბიზოლი, ვილა, ბეტარინი, ვარეტა, ხანა, ონილი (კოძა 84), ხილვა (თინქლერი 74), მუცი

გოლი: განცი (8), მუცი (43), ხილვა (50), ჯორკაეფი (90 პ)

გაფრთხილება: ბერეტა, გალანტე, ონილი, ანგლომა, ხანა, პაგანინი, ვეგა

გაძევება: ანგლომა (91)

### იუვენტუსი 1:0 ბოლონია

45 000 მაყურებელი

იუვენტუსი: პერუცი, პორინი, დიმახი, ტაკინარდი, ფერარა, მონტერო, დი ლივიო (ჯულიანო 82), იუგოვიჩი (ლომბარდო 46), ბოკშიჩი, ზიდანი, დელ პიერო

ბოლონია: ანტონიოლი, ტაროცი (ხკაპოლო 61), პარამატი, ტორიზი (მანგონე 11), კარდონე, დე მარჩი, ბრეშანი (ნერვო 57), მაგონი, ანდერხონი, მაროკი, კოლივანოვი

გოლი: ზიდანი (50)

გაფრთხილება: ჯულიანო, ტაკინარდი, მაროკი, პარამატი, კარდონე, მაგონი

გაძევება: დე მარჩი (72)

### უდინეზე 3:1 პარმა

12 000 მაყურებელი

უდინეზე: ბატისტინი, ბერტოტო (კაპიოლი 46), ალ. ორლანდო (ხერჯო 78), პელეგი, კალორი, პიერინი (გარგო 57), როხიტო, ჯანიკედა, ბირჰოფი, ხტროპა, პოჯი

პარმა: ბუფონი, მუხი, ბენარივო, ზე მარია (ტრუცი 81), ტურამი, კანავარო, ბრავო, ბრამბილა, კიეზა, ხტრადა (აპოლონი 46), კრესპო (მელი 73)

გოლი: ზე მარია (39), აპოლონი (64, საკ. კარში), ბირჰოფი (80, 92)

82-ე წუთზე ბირჰოფმა ვერ გაიტანა პენალტი

გაფრთხილება: ბრავო, ბუფონი, აპოლონი

გაძევება: კანავარო (42)

### ვერონა 1:1 სამპდორია

17 000 მაყურებელი

ვერონა: ჯარდალბენი, ხივილია, ა. პაგანინი, კოლუჩი (ფიკადენტი 70), ბარონი, ფატორი, მანეტი (დე ვიტიხი 58), ჯუნტა, მანიერო, კორინი, ძანინი

ხამპდორია: ფერონი, ბალერი, ხაკეტი, კარემბუ, მანინი, მიხაილოვიჩი, ლეგლე, ფერონი (ინვერნიცი 85), მონტელა (ხალხანო 85), მანჩინი, კარპარელი

გოლი: მონტელა (51), კორინი (69)

გაფრთხილება: ხაკეტი

### პერუჯა 1:1 ვიჩენცა

21 000 მაყურებელი

პერუჯა: კოჩიჩი, როკო, ჯორეტი, კრეკი, დიკარა, მატრეკანო, გაუტიერი, ჯუნტი, პიცი (არტისტიკო 78), ალეგრი (ტრავერზა 86), რაპაიჩი

ვიჩენცა: მონდინი, ხარტორი, ბეგეტო, დი კარლო, ბელოტი, ლოპეხი, ამბროზეტი (დიგნაციო 69), მენდეხი, კორნაჩინი (მურგიტა 83), მაინი, იანუცი (ვივიანი 58)

გოლი: იანუცი (10), გაუტიერი (33)

გაფრთხილება: კრეკი, როკო, მატრეკანო, დიკარა, კორნაჩინი, ხარტორი

### ატალანტა 2:2 ნაპოლი

17 291 მაყურებელი

ატალანტა: პინატო, კარბონე (გალო 57), ხ. როხინი, კარერა, ხოტილი, ბონაჩინა, ხგრო, ფორტუნატო, ინძაგი, მორფეო (მაგალიაეში 88), ლენტინი

ნაპოლი: ტალიალატელა, კრასონი, მილანეზე, ბორდინი, აიალა, ბოლოხიანი, ტურინი, ლონგო (ალტომარე 78), კაჩა (კაიო 87), პეკია, ალიეტი (პოლიკანო 71)

გოლი: მორფეო (40), ალიეტი (46), კაჩა (51), ხგრო (75)

22-ე წუთზე კაჩამ ვერ გაიტანა პენალტი

გაფრთხილება: ბონაჩინა, კარბონე, კარერა, როხინი, მილანეზე

გაძევება: აიალა (7), ხოტილი (43)

### პიაჩენცა 3:2 მილანი

16 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, ტრანეძანი, პარი (დელი კარდი 47), მ. კონტე, ლუჩი, დი ფრანჩესკო, ვალოტი, ლუიზო (მაკოპი 73), პინი, პიოვანი (ტენტონი 94)

მილანი: როსი, რაიციგერი, კოკო, ალბერტინი (სავიჩევიჩი 46), კოსტაკურტა, ბარეზი, ერანიო, დესაი, ვეა, ლოკატელი (დუგარი 46), ხიმონე

გოლი: ვალოტი (8), დი ფრანჩესკო (43), დუგარი (46, 68), ლუიზო (71)

გაფრთხილება: ტრამეძანი, პოლონია, ლუიზო, ტაიბი, კოკო, როსი, დუგარი

### რეჯანა 0:2 ლაციო

10 000 მაყურებელი

რეჯანა: ბალოტა, შაცი, კაინი, პედონე, ბაიერსდორფერი, გალი, პარენტე, დე ნაპოლი (ტონეტო 72), ტოვალიერი (ვალენსია 72), მაცოლა, ხკენარდი (ხიმუტენკოვი 85)

ლაციო: მარკეჯანი, ნესტა, ფავალი (გოტარდი 82), ბარონიო (ვენტურინი 67), გრანდონი, შამოტი, რამბაუდი, ფუზერი, კაზირაგი, ნედვედი, ხინიორი (პროტი 90)

გოლი: ნედვედი (84), კაზირაგი (92)

გაფრთხილება: გალი, ნესტა, ფავალი, ბარონიო, ვენტურინი

გაძევება: ბაიერსდორფერი (49)

### რომა 3:3 ფიორენტინა



რომა — ფიორენტინა. ფლორენციელი სანდრო კოისი რომაელი აბელ ბალბოს წინააღმდეგ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 11 | 6 | 3 | 2 | 20:11 | 21 |
| ინტერი | 11 | 5 | 5 | 1 | 15:10 | 20 |
| იუვენტუსი | 10 | 5 | 4 | 1 | 12:7 | 19 |
| ბოლონია | 11 | 6 | 1 | 4 | 19:15 | 19 |
| ნაპოლი | 11 | 4 | 5 | 2 | 16:16 | 17 |
| სამპდორია | 11 | 4 | 4 | 3 | 16:10 | 16 |
| რომა | 11 | 4 | 4 | 3 | 20:16 | 16 |
| პერუჯა | 11 | 5 | 1 | 5 | 16:17 | 16 |
| მილანი | 11 | 4 | 3 | 4 | 17:14 | 15 |
| ფიორენტინა | 11 | 3 | 6 | 2 | 15:13 | 15 |
| უდინეზე | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 |
| ლაციო | 11 | 4 | 3 | 4 | 12:11 | 15 |
| პიაჩენცა | 11 | 4 | 3 | 4 | 13:15 | 15 |
| პარმა | 11 | 3 | 4 | 4 | 12:13 | 13 |
| ატალანტა | 11 | 2 | 4 | 5 | 12:21 | 10 |
| კალიარი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:18 | 9 |
| ვერონა | 11 | 1 | 4 | 6 | 11:22 | 7 |
| რეჯანა | 11 | 0 | 4 | 7 | 9:21 | 4 |

## სერია B

მე-12 ტური. ბარი — კრემონეზე 0:0; კოზენცა — ჩეზენა 1:0; ემპოლი — კიევო 2:1; ფოჯა — რეჯინა 1:0; ლუკეზე — ლეჩე 3:3; პადოვა — სალერნიტანა 1:1; პალერმო — ტორინო 1:0; რავენა — ბრეშია 2:1; ვენეცია — პესკარა 2:0; დი ხანგრო — ჯენოა ჩაიშალა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 12 | 8 | 3 | 1 | 22:12 | 27 |
| პესკარა | 12 | 7 | 4 | 1 | 19:9 | 25 |
| ბრეშია | 12 | 5 | 5 | 2 | 16:10 | 20 |
| ტორინო | 12 | 5 | 3 | 4 | 14:12 | 18 |
| ემპოლი | 12 | 5 | 3 | 4 | 14:16 | 18 |
| ბარი | 12 | 3 | 8 | 1 | 15:8 | 17 |
| ლუკეზე | 12 | 4 | 5 | 3 | 12:10 | 17 |
| რავენა | 12 | 4 | 5 | 3 | 14:13 | 17 |
| პადოვა | 12 | 4 | 5 | 3 | 12:12 | 17 |
| ჯენოა | 11 | 3 | 7 | 1 | 12:7 | 16 |
| ფოჯა | 12 | 4 | 3 | 5 | 14:17 | 15 |
| კიევო | 12 | 3 | 5 | 4 | 12:13 | 14 |
| პალერმო | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 |
| სალერნიტანა | 12 | 3 | 5 | 4 | 7:10 | 14 |
| კოზენცა | 12 | 3 | 5 | 4 | 10:14 | 14 |
| ჩეზენა | 12 | 2 | 7 | 3 | 9:9 | 13 |
| ვენეცია | 12 | 2 | 4 | 6 | 13:16 | 10 |
| რეჯინა | 12 | 1 | 6 | 5 | 9:15 | 9 |
| კრემონეზე | 12 | 2 | 2 | 8 | 6:14 | 8 |
| დი ხანგრო | 11 | 2 | 2 | 7 | 4:15 | 8 |

# საფრანგეთი

მე-20 ტური. ბორდო — მეცი 1:0 (ტერიე 35 ს.კ.), მონპელიე — მონაკო 0:1 (კოლინზი 51), კაენი — პ.ს.ჟ. 1:3 (ბაიკუსა 25; დელი ვალდესი 34, გერენი 46, ნგოტი 53), ლილი — ოსერი 0:1 (ლახლანდესი 34), გინგამი — ბასტია 2:1 (ბარე 21, რუჟელი 67; სვერჩევსკი 90), მარსელი — ლე ავრი 0:0, სტრასბური — ლიონი 3:0 (ზიტელი 8, 78 პ, ნუმა 67) ნანსი — ლანსი 1:1 (ვიმბი 90; რეჟისი 77) ნანტი — კანი 5:1 (ნდორამი 32, 50, 89, მაკელელე 40, გურვენეკი 87; კაპუ 76), ნიცა — რენი 3:1 (მაუში 15, დება 68, ნეგრე 89; გივარი 38)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პ.ს.ჟ. | 20 | 12 | 6 | 2 | 33:13 | 42 |
| მონაკო | 20 | 12 | 5 | 3 | 36:16 | 41 |
| ბორდო | 20 | 9 | 7 | 4 | 29:21 | 34 |
| სტრასბური | 20 | 11 | 1 | 8 | 27:27 | 34 |
| ბასტია | 20 | 9 | 6 | 5 | 27:22 | 33 |
| ოსერი | 20 | 8 | 8 | 4 | 26:12 | 32 |
| მეცი | 20 | 8 | 7 | 5 | 21:16 | 31 |
| გინგამი | 20 | 7 | 7 | 6 | 18:18 | 28 |
| ლილი | 20 | 7 | 7 | 6 | 22:28 | 28 |
| ნანტი | 20 | 6 | 9 | 5 | 37:25 | 27 |
| მარსელი | 20 | 6 | 8 | 6 | 18:17 | 26 |
| ლიონი | 20 | 6 | 8 | 6 | 24:31 | 26 |
| ლანსი | 20 | 7 | 4 | 9 | 25:30 | 25 |
| რენი | 20 | 7 | 4 | 9 | 23:28 | 25 |
| ლე ავრი | 20 | 5 | 7 | 8 | 20:21 | 22 |
| კანი | 20 | 5 | 7 | 8 | 13:22 | 22 |
| მონპელიე | 20 | 3 | 9 | 8 | 17:24 | 18 |
| კაენი | 20 | 3 | 7 | 10 | 12:23 | 16 |
| ნანსი | 20 | 2 | 7 | 11 | 12:25 | 13 |
| ნიცა | 20 | 3 | 4 | 13 | 17:38 | 13 |

# ესპანეთი

მე-15 ტური. ატლეტიკო — რასინგი 1:0 (ესნაიდერი 22), სპორტინგი — რეალი 0:1 (იერო 19); ვალენსია — სელტა 2:0 (კარპინი 22, ურტადო 82), ტენერიფე — რაიო 1:2 (პასი 64; ალკასარი 66, 83), სევილია — დეპორტივო 0:1 (მარტენი 50), ლოგრონიესი — ერკულესი 3:2 (კანალსი 14 პ, მორალესი 35, 60; ესკუდერო 27, ვისნიჩი 45), სარაგოსა — ოვიედო 1:0 (პოიეტი 34); სოსიედადი — ესპანიოლი 1:0 (მილდი 20), ვალიადოლიდი — ბილბაო 0:0; კომპოსტელა — ბეტისი 0:2 (ალფონსო 7, ფინიდი 73)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 15 | 10 | 5 | 0 | 31:12 | 35 |
| დეპორტივო | 15 | 9 | 6 | 0 | 23:7 | 33 |
| ბარსელონა | 14 | 9 | 4 | 1 | 43:17 | 31 |
| ბეტისი | 15 | 8 | 5 | 2 | 28:13 | 29 |
| ატლეტიკო | 15 | 8 | 3 | 4 | 26:17 | 27 |
| ბილბაო | 15 | 7 | 4 | 4 | 28:22 | 25 |
| სოსიედადი | 15 | 7 | 3 | 5 | 20:18 | 24 |
| ვალიადოლიდი | 15 | 7 | 3 | 5 | 19:18 | 24 |
| რასინგი | 15 | 5 | 7 | 3 | 15:15 | 22 |
| რაიო | 15 | 5 | 5 | 5 | 21:19 | 20 |
| ვალენსია | 15 | 6 | 2 | 7 | 23:22 | 20 |
| სელტა | 15 | 5 | 5 | 5 | 17:17 | 20 |
| ტენერიფე | 15 | 5 | 4 | 6 | 23:17 | 19 |
| ესპანიოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:20 | 16 |
| ოვიედო | 15 | 4 | 4 | 7 | 17:21 | 16 |
| სპორტინგი | 15 | 4 | 4 | 7 | 15:20 | 16 |
| ლოგრონიესი | 15 | 4 | 3 | 8 | 11:33 | 15 |
| სარაგოსა | 15 | 2 | 8 | 5 | 18:23 | 14 |
| სევილია | 15 | 4 | 2 | 9 | 13:20 | 14 |
| კომპოსტელა | 15 | 3 | 4 | 8 | 13:29 | 13 |
| ერკულესი | 15 | 2 | 2 | 11 | 11:29 | 8 |
| ესტრემადურა | 14 | 1 | 3 | 10 | 8:27 | 6 |

# პორტუგალია

მე-12 ტური. სალგეირუში — ბელენენსეში 1:2; ამადორა — შავეში 3:0; სპორტინგი — ლეირია 0:0; ესპინიუ — ჟილ ვისენტე 1:0; ფარენსე — ბრაგა 2:2; რიუ ავე — ბენფიკა 0:1; მარიტიმუ — გიმარაეში 1:2; ლეცა — პორტუ 2:4; ბოავიშტა — სეტუბალი 0:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 12 | 10 | 2 | 0 | 26:5 | 32 |
| ბენფიკა | 12 | 9 | 2 | 1 | 24:5 | 29 |
| სპორტინგი | 12 | 7 | 2 | 3 | 15:7 | 23 |
| სეტუბალი | 12 | 5 | 5 | 2 | 17:12 | 20 |
| ამადორა | 12 | 6 | 2 | 4 | 12:8 | 20 |
| ესპინიუ | 12 | 6 | 2 | 4 | 15:16 | 20 |
| ბრაგა | 12 | 5 | 4 | 3 | 18:18 | 19 |
| ლეცა | 12 | 5 | 3 | 4 | 17:11 | 18 |
| ფარენსე | 12 | 5 | 3 | 4 | 11:10 | 18 |
| ბოავიშტა | 12 | 4 | 5 | 3 | 18:14 | 17 |
| სალგეირუში | 12 | 3 | 5 | 4 | 13:13 | 14 |
| გიმარაეში | 12 | 4 | 2 | 6 | 16:19 | 14 |
| ბელენენსეში | 12 | 4 | 2 | 6 | 15:23 | 14 |
| შავეში | 12 | 3 | 4 | 5 | 13:20 | 13 |
| მარიტიმუ | 12 | 3 | 3 | 6 | 13:20 | 12 |
| ლეირია | 12 | 3 | 1 | 8 | 8:21 | 10 |
| ჟილ ვისენტე | 12 | 1 | 1 | 10 | 11:26 | 4 |
| რიუ ავე | 12 | 0 | 2 | 10 | 10:24 | 2 |

# ჰოლანდია

მე-19 ტური. ჰერენვენი — უტრეხტი 2:2; ტილბურგი — როდა 0:1; ბრედა — გრააფსხაპი 2:1; ეინდჰოვენი — ნაიმეგენი 4:1; ვოლენდამი — ტვენტე 0:1; ვიტესი — ალკმაარი 1:0; აიაქსი — გრონინგენი 1:1; ვალვაიკი — სპარტა 2:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 18 | 13 | 3 | 2 | 52:14 | 42 |
| ფეიენოორდი | 17 | 11 | 3 | 3 | 29:20 | 36 |
| ტვენტე | 18 | 10 | 4 | 4 | 28:15 | 34 |
| გრააფსხაპი | 18 | 9 | 3 | 6 | 29:22 | 30 |
| ვიტესი | 18 | 8 | 5 | 5 | 29:21 | 29 |
| აიაქსი | 18 | 7 | 8 | 3 | 23:16 | 29 |
| ჰერენვენი | 18 | 7 | 7 | 4 | 30:20 | 28 |
| როდა | 17 | 7 | 6 | 4 | 19:21 | 27 |
| უტრეხტი | 18 | 4 | 10 | 4 | 26:24 | 22 |
| ვოლენდამი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:23 | 21 |
| სპარტა | 19 | 6 | 3 | 10 | 21:25 | 21 |
| ბრედა | 18 | 6 | 3 | 9 | 17:29 | 21 |
| გრონინგენი | 18 | 4 | 6 | 8 | 20:31 | 18 |
| ალკმაარი | 18 | 5 | 2 | 11 | 16:23 | 17 |
| ნაიმეგენი | 18 | 3 | 7 | 8 | 19:32 | 16 |
| ტილბურგი | 18 | 4 | 4 | 10 | 17:31 | 16 |
| სიტარდი | 17 | 3 | 7 | 7 | 14:28 | 16 |
| ვალვაიკი | 18 | 3 | 5 | 10 | 17:31 | 14 |

# შვეიცარია

მე-22 ტური. ბაზელი — ციურიხი 0:0; ხერვეტი — არაუ 1:2; სენტ გალენი — ლოზანა 1:1; იანგ ბოიზი — ლუცერნი 2:1

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 21 | 12 | 7 | 2 | 36:20 | 43 |
| გრასჰოპერი | 21 | 9 | 9 | 3 | 40:27 | 36 |
| სიონი | 21 | 9 | 9 | 3 | 32:20 | 36 |
| არაუ | 22 | 9 | 8 | 5 | 21:14 | 35 |
| ლოზანა | 22 | 9 | 7 | 6 | 35:32 | 34 |
| სენტ გალენი | 22 | 7 | 9 | 6 | 21:26 | 30 |
| ციურიხი | 22 | 6 | 9 | 7 | 24:25 | 27 |
| სერვეტი | 22 | 5 | 9 | 8 | 24:25 | 24 |
| ბაზელი | 22 | 4 | 11 | 7 | 31:35 | 23 |
| ლუცერნი | 22 | 4 | 11 | 7 | 28:33 | 23 |
| ლუგანო | 21 | 2 | 9 | 10 | 14:30 | 15 |
| იანგ ბოიზი | 22 | 3 | 4 | 15 | 19:38 | 13 |

# პოლონეთი

მე-18 ტური. გურნიკი — რუხი 4:0; პოლონია — ოდრა 2:2; ჰუტნიკი — ლეხი 1:1; ბელხატოვი — ვისლა 1:2; სტომილი — სოკოლი 1:0; ლკს — შლიონსკი 5:2; ზაგლებიე — ვიძევი 2:2; რაკოვი — გკს 1:1; ლეგია — ამიცა 2:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 18 | 12 | 5 | 1 | 38:10 | 41 |
| ლეგია | 18 | 13 | 2 | 3 | 33:14 | 41 |
| გკს | 18 | 8 | 7 | 3 | 27:20 | 31 |
| სტომილი | 18 | 8 | 4 | 6 | 27:22 | 28 |
| ოდრა | 18 | 8 | 4 | 6 | 29:25 | 28 |
| ამიცა | 18 | 8 | 3 | 7 | 22:24 | 27 |
| ვისლა | 18 | 7 | 4 | 7 | 17:19 | 25 |
| რაკოვი | 18 | 6 | 6 | 6 | 17:20 | 24 |
| პოლონია | 18 | 7 | 3 | 8 | 17:24 | 24 |
| ლკს | 18 | 5 | 7 | 6 | 24:24 | 22 |
| ლეხი | 18 | 6 | 4 | 8 | 20:23 | 22 |
| ზაგლებიე | 18 | 5 | 7 | 6 | 19:22 | 22 |
| ჰუტნიკი | 18 | 5 | 5 | 8 | 18:23 | 20 |
| სოკოლი | 18 | 5 | 5 | 8 | 18:25 | 20 |
| ბელხატოვი | 18 | 5 | 4 | 9 | 21:27 | 19 |
| გურნიკი | 18 | 5 | 3 | 10 | 18:27 | 18 |
| რუხი | 18 | 3 | 7 | 8 | 15:22 | 16 |
| შლიონსკი | 18 | 4 | 4 | 10 | 16:25 | 16 |

# თურქეთი

მე-15 ტური. ალთაი — ანკარაგიუჯიუ 1:1; დენიზლი — ტრაბზონი 2:3; სარიერი — ისთანბული 0:1; გალათასარაი — ანთალია 3:1; გაზიანთეფი — ბურსა 2:1; გენჩლერბირლიგი — ქოჯაელი 1:0; დარდანელი — ფენერბაჰჩე 1:1; ზეითუნბურნუ — ბეშიქთაში 0:3; სამსუნი — ვანი 0:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 15 | 12 | 2 | 1 | 45:14 | 38 |
| ტრაბზონი | 15 | 11 | 2 | 2 | 30:14 | 35 |
| ბეშიქთაში | 15 | 10 | 4 | 1 | 37:9 | 34 |
| ფენერბაჰჩე | 15 | 10 | 3 | 2 | [illegible]:10 | 33 |
| ბურსა | 15 | 8 | 3 | 4 | 22:12 | 27 |
| გაზიანთეფი | 15 | 7 | 5 | 3 | 18:14 | 26 |
| ქოჯაელი | 15 | 7 | 3 | 5 | 20:15 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 15 | 6 | 2 | 7 | 20:22 | 20 |
| სამსუნი | 15 | 5 | 4 | 6 | 18:26 | 19 |
| გენჩლერბირლ. | 15 | 5 | 3 | 7 | 13:17 | 18 |
| სარიერი | 15 | 5 | 3 | 7 | 17:23 | 18 |
| ისთანბული | 15 | 4 | 4 | 7 | 13:21 | 16 |
| ალთაი | 15 | 4 | 4 | 7 | 14:29 | 16 |
| ანთალია | 15 | 3 | 5 | 7 | 16:21 | 14 |
| დარდანელი | 15 | 3 | 4 | 8 | 11:2[illegible] | 13 |
| ვანი | 15 | 3 | 3 | 9 | 12:27 | 12 |
| დენიზლი | 15 | 3 | 2 | 10 | 18:32 | 11 |
| ზეითუნბურნუ | 15 | 0 | 2 | 13 | 10:39 | 2 |

# შოტლანდია

მე-14 ტური. სელტიკი — ჰართსი 2:2; დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი 1:1; ჰიბერნიანი — მოზერველი 2:0; რეით როვერსი — კილმარნოკი 1:0; აბერდინი — რეინჯერსი 0:3

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 13 | 10 | 2 | 1 | 31:9 | 32 |
| სელტიკი | 13 | 8 | 3 | 2 | 31:13 | 27 |
| აბერდინი | 14 | 6 | 4 | 4 | 25:17 | 22 |
| ჰართსი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:19 | 20 |
| ჰიბერნიანი | 14 | 5 | 3 | 6 | 13:21 | 18 |
| დანფერმლაინი | 13 | 4 | 5 | 4 | 17:24 | 17 |
| დანდი იუნ. | 14 | 3 | 5 | 6 | 15:17 | 14 |
| მოზერველი | 14 | 3 | 5 | 6 | 15:22 | 14 |
| კილმარნოკი | 13 | 3 | 2 | 8 | 17:27 | 11 |
| რეით როვერსი | 14 | 3 | 2 | 9 | 14:27 | 11 |

სპორტულ ფეხსაცმელს და ჯინსებს – მუდამ რომ არის მოდაში,
ყველაზე იაფად გთავაზობთ ამერიკული „ჯორდაში"

JORDACHE®

მაღაზიები: თავისუფლების მოედანი 7 (ცეკავშირთან), თამარ მეფის გამზ. 23.

საბითუმო ვაჭრობა: შპს „ფორტუნა" ტელ: 93-55-26

# წყალსაც ჩაგისხამთო...

შაბათს გამართულ სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ყრილობას ყოფილი პრეზიდენტი — სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო. როგორც ვიცე-პრეზიდენტმა გივი ცქიტიშვილმა დამსწრეთ ამცნო, მას წინა დღეს პირადად მოუნახულებია ავადმყოფი პრეზიდენტი, რომელსაც იმედი გამოუთქვამს, ყრილობა ერთსულოვან და საქმიან ატმოსფეროში ჩატარდებაო. შემდეგ ცქიტიშვილმა ყრილობას განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ მოუთხრო, ოღონდ ცურვას, წყალში ხტომასა და სინქრონულ ცურვას შეეხო, წყალბურთზე კი მეორე ვიცე-პრეზიდენტმა — ნუგზარ ერაძემ ისაუბრა.

საკამათო გახდა ოლიმპიადის წინა საკვალიფიკაციო შეჯიბრში ჩვენი ნაკრების მონაწილეობის საკითხი. სპორტის დეპარტამენტის პირველი მოადგილის, ჯანო ბაგრატიონის აზრით, უფრო უპრიანი იქნებოდა ჩვენების რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობა, სადაც ქართველებს ორი ტური უკვე ნათამაშები ჰქონდათ და დარჩენილი თამაშებისთვის საჭირო სახსრებიც გამონახული იყო. „მწვრთნელების მიმართ პრეტენზია არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს ჩვენი პირობების გამო, მე მხოლოდ სტრატეგიას არ ვეთანხმები“ — განაცხადა ბაგრატიონმა.

ოთარ მიმინოშვილმა ყველას გაერთიანებისკენ მოუწოდა — რაკი ერთ საქმეს ვემსახურებით, ერთმანეთს ჯიბრში არ უნდა ჩავუდგეთ და არც ცინიკურად ვაქილიკოთო. მიმინოშვილი ყრილობას მომრიგებლად და სიტუაციის განმმუხტავად მოევლინა, მისმა ემოციურმა გამოსვლებმა ნაწილობრივ შედეგიც გამოიღო.

ყრილობამ, დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ფედერაციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გელა ტუკვაძემ თქვა: არანაირ „პაეზდკებს“ არ ვითხოვ, ჩემთვის უფრო მთავარი ის არის, რესპუბლიკაში წყალბურთი არ მოკვდეს. ტუკვაძემ ისიც აღნიშნა, რომ ნიჭიერ და ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდობას დახმარება სჭირდება.

ყრილობაზე ითქვა, რომ რუსეთის არმიის სპორტის აუზში 350 ბავშვი ვარჯიშობს. მათ შორის იმართება შეჯიბრებები, რომლებშიც საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული სპორტსმენებიც მონაწილეობენ.

პრეზიდენტის არჩევნებს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. კანდიდატებად ვერის აუზის თავკაცი ვლადიმერ გოიაშვილი და ყოფილი წყალბურთელი მამუკა კილაურიძე დაასახელეს. კილაურიძის კანდიდატურა ახალგაზრდული ნაკრების სახელით მისმა ერთ-ერთმა წევრმა წამოაყენა. მანვე გულისტკივილით დასძინა, ძალიან მძიმე პირობებში გვიხდება ვარჯიში, ვერის აუზში არ გვიშვებენ, არადა, იქ იდეალური პირობებია და ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, სპორტისთვის თავის დანებება მომიწევსო.

ვლადიმერ გოიაშვილს რაიმე პროგრამა არ წარმოუდგენია, ხოლო კილაურიძეს, რომელსაც საწყლოსნო სპორტის გაჯანსაღების ვრცელი პროგრამა ჰქონდა, დელეგატთა უმრავლესობამ სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცა.

ამიტომ პრეზიდენტობის კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა.

გია ზუმბულიძე დაინტერესდა, გოიაშვილის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში სპორტსმენებს თუ ექნებოდათ ვერის აუზში ვარჯიშის საშუალება. ამაზე კანდიდატმა მხოლოდ იხუმრა: თუ კარგად მოიქცევიან, წყალსაც ჩავუსხამო.

პრეზიდენტად არჩევის მერე კი სრულიად სერიოზულად განაცხადა, ჩემს აუზში გედები დაცურავდნენ და ამის გამო მაკრიტიკებდნენ, ახლა დელფინების მოშენებაც მაქვს განზრახულიო. ოლიმპიადის წინა საკვალიფიკაციო ტურნირში წყალბურთელთა წარუმატებელი და ახალგაზრდული ნაკრების უიღბლო გამოსვლის თაობაზე აღნიშნა: „ისეთ მეტოქეებთან არ უნდა ვითამაშოთ, რომლებთანაც დიდი ანგარიშით წავაგებთ, აგერ თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი და მათ ვეპაექროთ.“

**ერეკლე კიკილაშვილი**


ვისაც გსურთ გახდომა და ამას ვერ ახერხებთ დამოუკიდებლად

ინფორმაციას გახდომის 30-დღიანი ღონისძიების შესახებ მიიღებთ ტელეფონზე:

985897

დილის 9-დან 11-მდე
საღამოს 17-დან 23-მდე



ფირმების რეგისტრაცია

აუდიტი

ყველაზე იაფად და სწრაფად (1 დღეში)
(შ.პ.ს., ინდივიდუალური საწარმო, ს.ს.)

რუსთაველის 19.
ტელ. 93-52-34, 99-09-84;
73-89-39 (18 საათიდან)


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

3 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ტენერიფე (ესპანეთი) | (1,5-2,0) | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ბეშიქთაში (თურქეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ჰამბურგი (გერმანია) — მონაკო (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| კარლსრუე (გერმანია) — ბრონდბიუ (დანია) | (—-10,0) | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ანდერლეხტი (ბელგია) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) | (1,2-3,5) | 1,25 | 3,1 | 7,0 |
| ნიუკასლი (ინგლისი) — მეცი (საფრანგეთი) | (1,05-7,5) | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| შალკე (გერმანია) — ბრიუგე (ბელგია) | (1,4-2,3) | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ბოავიშტა (პორტუგალია) — ინტერი (იტალია) | (10,0-—) | 2,7 | 2,7 | 2,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირის ბოლო ტური

4 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო (ესპანეთი) — ვიძევი (პოლონეთი) | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| დორტმუნდი (გერმანია) — სტიაუა (რუმინეთი) | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| რაპიდი (ავსტრია) — მანჩესტერი (ინგლისი) | 5,3 | 3,1 | 1,35 |
| იუვენტუსი (იტალია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | 1,15 | 3,4 | 10,0 |
| გიოტებორგი (შვედეთი) — პორტუ (პორტუგალია) | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| მილანი (იტალია) — რუსენბორგი (ნორვეგია) | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| ოსერი (საფრანგეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 2,8 | 2,8 | 1,9 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე



# პატარა ბურთიც ბურთია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ არეულ დროში პატარა თეთრი ბურთი ვიღას ახსოვს... არადა, იყო დრო, ყოველ დიდ თუ პატარა ეზოში პინგ-პონგის მაგიდა იდგა და დილიდან საღამომდე ისმოდა ბურთის კაკუნი. ის კი არა, ყველა ქალაქელმა ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად, იცოდა პინგ-პონგის თამაში და ვინც არ იცოდა, იმას ისეთი გაკვირვებით უყურებდნენ, თითქოს ვაჟა-ფშაველა არ წაეკითხოს. ახლა აღარც ვაჟა-ფშაველას კითხულობენ და პინგ-პონგი რაღა მოსატანია. ჰოდა, იმის დროა, პრაქტიკულ საუბარზე გადავიდეთ.

მაგიდის ჩოგბურთი ძალზე პოპულარულია მთელ მსოფლიოში. თითქმის არ არსებობს ქვეყანა, სადაც მას არ თამაშობდნენ. აზიელებზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოში, სადაც ყოველ პარკში იდგა პინგ-პონგის მაგიდები, ეს სახეობა ძალზე პოპულარული იყო. ჩვენი უძლიერესები — სარხოიანი, რამაზაშვილი, პარფინიდი საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთის ნალებში ერივნენ, ბათუმელი სარქის სარხოიანი სულაც მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტაში იყო ათი წლის მანძილზე. პინგ-პონგმა თანდათან დაიპყრო მსოფლიო და უკვე მეოთხე ოლიმპიადის პროგრამაშია, თანაც საკმაოდ მომგებიანი სახეობაცაა. მონაგრის თვალსაზრისით — მაგიდის ჩოგბურთში მედლების ოთხი კომპლექტი თამაშდება და პატარა გუნდით საკმაო მედლის მოპოვება შეიძლება. რა მდგომარეობაა დღეს ქართულ მაგიდის ჩოგბურთში? ამის გასარკვევად ვესაუბრეთ ამ სახეობის ფედერაციის პრეზიდენტს იური გონაძეს, ვიცე-პრეზიდენტს ტრისტან გელაშვილს და საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ნიკო არჩვაძეს.

**იური გონაძე:** ტრადიციულად უნდა დავიწყოთ, რეალობას ვერ გავექცევით — ქვეყანა რომ აირია, ამან, რა თქმა უნდა, მაგიდის ჩოგბურთზეც იმოქმედა. ვინც დაგვრჩა სპორტსმენებიდან, ისევ ძველები არიან, ზოგმა საზღვარგარეთს მიაშურა. უფრო რუსეთს, რადგან იქ სპორტსმენებს გარკვეული გასამრჯელო აქვთ. ჩვენ 1992 წელს გავწევრიანდით მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაში, მომდევნო წლებში კი გიოტებორგის მსოფლიოს ჩემპიონატში და ბირმინგემის ევროპის ჩემპიონატშიც მოვახერხეთ მონაწილეობა. მაშინ სპორტდეპარტამენტმა დაგვაფინანსა, მერე კი მთელი სახსრები ოლიმპიადისთვის მომზადებას მოხმარდა და ჩვენც, ბუნებრივია, ყურადღება მოგვაკლდა. ამის შემდეგ სპორტსმენები საკუთარ თავს თავად თუ პატრონობდნენ. მაგალითად, ახლა იტალიის ღია ჩემპიონატზე ჩვენი ვერიკო ბარამიძე მისმა მწვრთნელმა ზურაბ უკლებამ წაიყვანა — სპონსორი გამოუძებნა. საერთაშორისო ფედერაციის ვალიც გვაქვს — 1500 დოლარი. ეს თანხა თუ გადავიხადეთ, მაშინ თამამად შეგვეძლება ტურნირებზე წასვლა. არადა, კვირა ისე არ გავა, მიწვევები არ მივიღოთ. თანაც, ტურნირების ორგანიზატორები დიდ შეღავათებს გვიწევენ — საჭირო თანხის მხოლოდ თხუთმეტი პროცენტის გადახდას გვთხოვენ. გაისად მაინც უნდა მოვახერხოთ ტურნირზე ჩასვლა.

**ტრისტან გელაშვილი:** ახლა ჩვენთან მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებებში მხოლოდ სამი ქალაქის სპორტსმენები მონაწილეობენ: თბილისის, ქუთაისის და ბათუმის. ბათუმში, რომელსაც ყოველთვის დიდი ტრადიციები ჰქონდა, ამ სახეობას ახლაც დიდ ყურადღებას აქცევენ. აჭარის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რეზო გოგიშვილმა მოახერხა და ამ ქალაქში ახლა შესანიშნავი სპორტული ბაზაა გათბობით, საშხაპეებით და ა. შ. ამ დარბაზში მოყვარულებიც ვარჯიშობენ, რომელნიც გარკვეულ თანხას იხდიან და ეს ბაზის კეთილმოწყობას ხმარდება. ახლახან ბათუმში დაბრუნდა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი სარქის სარხოიანი, რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. სარხოიანი დიდადაა დაინტერესებული მაგიდის ჩოგბურთის განვითარებით და ჩვენც მისი დიდი იმედი გვაქვს. მაგიდის ჩოგბურთს თუ სათანადოდ მიეხედა, შედეგი არ დააყოვნებს. ეს ისეთი სახეობაა, სადაც ახალგაზრდებს დიდი ხვეწნა-მუდარა არ სჭირდებათ მოსაზიდად. რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ სიდნეის ოლიმპიადისთვის, აქედანვე რომც მივხედოთ საქმეს, უკვე მედლებისთვის შეგვეძლება ბრძოლა, თუმცა, რა თქმა უნდა, მომავალი ოლიმპიადებისთვის მზადებას ახლავე უნდა შევუდგეთ. კარგი სპორტსმენის აღზრდას მინიმუმ რვა წელი მაინც სჭირდება.

**ნიკო არჩვაძე:** სანამ ყველაფერი აირეოდა, საკმაოდ კარგი მაგიდის ჩოგბურთელები გვყავდა. რომლებიც ახლაც, თუ სტიმული იქნება, სპორტულ ფორმას აღიდგენენ. ლევან ბურკაძე, დავით სტეფანია, ვახტანგ იმერლიშვილი 17-18 წლის ბიჭები არიან და სათანადო ყურადღება თუ მიექცათ, სასურველ შედეგებსაც მიაღწევენ. ბურკაძე ორი წელი პოლონეთის ქალაქ ლებორკის გუნდში ასპარეზობდა და საკმაოდ წარმატებითაც. კიდევ ერთი ჩვენი ჩოგბურთელი ვლადიმერ მანუკიანი კრასნოდარშია, რუსეთის ჩემპიონატში გამოდის და ოცეულშია, რაც ნამდვილად არ გახლავთ ურიგო შედეგი. პინგ-პონგში წარმატებები უფრო გვიანდელ ასაკში მოდის: განთქმულმა სპორტსმენებმა — ჟაკ სეკრეტენმა, დრაგუტინ შურბეკმა, ზორან კალინიჩმა თავიანთ ყველაზე დიდ წარმატებებს 30 წლის შემდეგ მიაღწიეს, ჩვენ კი 25 წლის სპორტსმენებს უკვე ვეტერანებად ვთვლით.

**გონაძე:** არჩვაძე, მანუკიანი, ფირცხალავა თავის დროზე საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიოდნენ. არჩვაძე, მაგალითად, ტოლს არ უდებდა ბელარუს სამსონოვს, რომელიც ახლა მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტაშია. ასე რომ, ყურადღება ბევრ რამეს ნიშნავს.

**გელაშვილი:** თბილისში კიდევ ვატარებთ ტურნირებს, რაშიც ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ კანკავა გვეხმარება, მაგრამ შეჯიბრებები უფრო მეტია საჭირო.

**გონაძე:** უნდა ითქვას, რომ ამ არეული ცხოვრებისა და შეჭირვების მიუხედავად ჩოგბურთელებს ერთი ვარჯიშიც არ გაუცდენიათ, წვრთნა ყოველდღე (კვირის გარდა) ტარდება ჩვენს დარბაზში. მაგრამ ფინანსების მოზიდვაა საჭირო. შარშან საქართველოს ჩემპიონატის გასამართად საჭირო თანხა ტრისტან გელაშვილმა გაიღო, მაგრამ ყოველთვის ასე ხომ არ მოხერხდება. არადა, პინგ-პონგი არც თუ ძვირი სახეობაა და ამასთან მასობრივიც ადვილად შეიძლება იქცეს, ისე, როგორც ამ რამდენიმე წლის წინ იყო.

**არჩვაძე:** მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის შესაძლებლობები, რაც დღესდღეობით გვაქვს. მჯამს, რომ თუ ჩვენები სათანადო პირობებში ივარჯიშებენ, პირველ ხანებშიც კი ევროპული ქვეყნების ოცეულში შეგვეძლება მოხვედრა, რაც არც ისე ურიგო შედეგია, რადგან პინგ-პონგი ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. სარქის სარხოიანის დიდი იმედი გვაქვს, ივი კარგა ხანს იტალიაში იქაურ ქალთა ნაკრებს წვრთნიდა და მანამდე არნახული წარმატებისთვის მიაღწევინა — ევროპის საუკეთესო ექვს გუნდში მოახვედრა. სარხოიანს მთელს მსოფლიოში სცემენ პატივს და არ გვაქვს უფლება, მისი გამოცდილება არ გამოვიყენოთ.

**გელაშვილი:** სერიოზული მუშაობისთვის საჭიროა მწვრთნელთა ლიცენზირებაც, ძლიერ სპორტსმენებს მხოლოდ ძლიერი მწვრთნელები აღზრდიან. ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება.

მე რა უნდა ვურჩიო ბიზნესმენებს, მაგრამ ბათუმელთა მაგალითს გავიხსენებდი და ვიტყოდი, რომ თბილისშიც, ჭავჭავაძის პროსპექტზე არის მაგიდის ჩოგბურთელთა დიდი დარბაზი, აქ შეიძლება ჩაიდოს გარკვეული თანხა. მოყვარული სპორტსმენები, ვისაც პინგ-პონგის სისტემატურად თამაში სურს, სათანადო გადასახადს გაიღებენ, ეს კი ჩოგბურთელებს, სპორტსმენებს ინვენტარის შესაძენად, ტურნირებისთვის მოსამზადებლად და სხვა სასიკეთო საქმეებში წაადგებათ, თავად ბიზნესმენებს კი... თვითონ იციან რაში... საქართველოს ნაკრები გაისად აპრილში მანჩესტერის ევროპის ჩემპიონატზეა მიწვეული და მისთვის სპონსორი ძალიან კარგი იქნებოდა. მოკლედ, მაგიდის ჩოგბურთს რატომ არ უნდა მიექცეს ყურადღება, ამის დასასაბუთებლად არანაირი, უკვე ნაცადი არგუმენტი არ არსებობს: ოლიმპიური სახეობაა, რომელსაც ბევრი მედლის მოტანა შეუძლია, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ყოველგვარი შესარჩევი შეჯიბრების გარეშე დაიშვებიან, არიან ნიჭიერი სპორტსმენები, რომელთაც წარმატების მიღწევა შეუძლიათ, ამ სახეობის მასობრივად განვითარებას შემოსავლის მოტანაც შეუძლია, რაც მთავარია, ეს, ასე ვთქვათ, მერკანტილური მოსაზრებანიც რომ გვერდზე გადავდოთ, იმაზე ხომ მაინც აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ, რომ ჯანსაღი ახალგაზრდობა, მომავალი გვყავდეს, საა მისოდ კი მაგიდის ჩოგბურთიც ისევე საჭიროა, როგორც სხვა სახეობანი.

**კოტე მგალობლიშვილი**

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**29 ნოემბერი**

პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 119:93, სიეტლ სუპერსონიქსი — ფინიქს სანზი 106:92, იუტა ჯაზი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 111:94, მინესოტა ტიმბერვულვზი — დენვერ ნაგითსი 108:103, ჩიკაგო ბულზი — დალას მავერიქსი 116:97, ინდიანა პეისერზი — ვანკუვერ გრიზლიზი 104:94, ჰიუსტონ როკიტსი — ბოსტონ სელტიქსი 120:94, ატლანტა ჰოქსი — ვაშინგტონ ბულიტსი 110:81, ფილადელფია-76 — ორლანდო მეჯიქი 100:91, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — დეტროიტ პისტონზი 84:76

**30 ნოემბერი**

ნიუ იორკ ნიქსი — საკრამენტო კინგზი 115:101, ორლანდო მეჯიქი — კლივლენდ კავალიერზი 86:82, მაიამი ჰითი — ბოსტონ სელტიქსი 78:77, ფილადელფია-76 — ვანკუვერ გრიზლიზი 96:90, ჰიუსტონ როკიტსი — ვაშინგტონ ბულიტსი 103:99, მინესოტა ტიმბერვულვზი — ტორონტო რეპტორზი 79:70, შარლოტ ჰორნეთსი — მილუოკი ბაქსი 94:87, ჩიკაგო ბულზი — სან ანტონიო სფურზი 97:88, ნიუ ჯერსი ნეთსი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 106:95

**1 დეკემბერი**

გოლდენ სტეიტ ვორიორზი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 98:70, დეტროიტ პისტონზი — საკრამენტო კინგზი 95:66, იუტა ჯაზი — სიეტლ სუპერსონიქსი 96:90, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — დენვერ ნაგითსი 104:96

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 12 | 4 | 75,0 |
| ორლანდო | 8 | 4 | 66,7 |
| ნიუ იორკი | 9 | 5 | 64,3 |
| ფილადელფია | 7 | 8 | 46,7 |
| ვაშინგტონი | 7 | 8 | 46,7 |
| ბოსტონი | 4 | 10 | 28,6 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 9 | 25,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 15 | 1 | 93,8 |
| დეტროიტი | 12 | 3 | 80,0 |
| კლივლენდი | 9 | 5 | 64,3 |
| შარლოტი | 8 | 6 | 57,1 |
| ატლანტა | 9 | 7 | 56,3 |
| მილუოკი | 8 | 7 | 53,3 |
| ინდიანა | 5 | 8 | 38,5 |
| ტორონტო | 4 | 10 | 28,6 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| ჰიუსტონი | 15 | 1 | 93,8 |
| იუტა | 12 | 2 | 85,7 |
| მინესოტა | 7 | 8 | 46,7 |
| დენვერი | 5 | 12 | 29,4 |
| დალასი | 4 | 10 | 28,6 |
| სან ანტონიო | 2 | 13 | 13,3 |
| ვანკუვერი | 2 | 15 | 11,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 14 | 4 | 77,8 |
| ლეიკერზი | 12 | 6 | 66,7 |
| პორტლენდი | 10 | 7 | 58,8 |
| კლიპერზი | 6 | 10 | 37,5 |
| გოლდენ სტეიტი | 5 | 11 | 31,3 |
| საკრამენტო | 5 | 12 | 29,4 |
| ფინიქსი | 1 | 14 | 0,67 |

# ქართველებმა თურქმენები გადარიეს

## ამბობს საქართველოს ელჩი თურქმენეთში

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს თურქმენეთის საფეხბურთო ნაკრები ეწვია და „დინამოსთან“ ამხანაგურად ითამაშა. მაშინ ბევრი დაიწერა იმ სამსახურზე რასაც ჩვენებური მწვრთნელი, ელგუჯა გუგუშვილი და ქართველი ფეხბურთელები უწევენ თურქმენულ ფეხბურთს, მაგრამ არავის უხსენებია ის კაცი, ვისი მეშვეობითაც მოხდა ჩვენებურთა შუა აზიაში წასვლა. იგი გახლავთ საქართველოს ელჩი თურქმენეთში ჰენრი პატარაია, რომელიც დიპლომატიური საქმიანობის გარდა საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს სხვა სფეროებშიც. ბატონი ჰენრის თქმით, კონტაქტები საქართველოსა და თურქმენეთს შორის მარტო ფეხბურთით, გაზითა და ჩაით არ ამოიწურება და მომავალში ამ ორ ქვეყანას ბევრი საერთო საქმე დააკავშირებს.

თავად ბატონი ჰენრი ჭაბუკობისას ველოსპორტს მისდევდა და 1966-72 წლებში საქართველოს ნაკრებშიც ირიცხებოდა, ჭაბუკთა ჩემპიონის ტიტულიც მოუპოვებია. მისი ვაჟი თედი ერთი პირობა ლანჩხუთის „გურიის“ დუბლშიც თამაშობდა. მოკლედ, ელჩისთვის სპორტი სულაც არ გახლავთ უცხო, ის კი, ვინც ერთხელ მოიწამლება სპორტით, მოგეხსენებათ, მთელი ცხოვრება „ავად“ არის ხოლმე. ქართველთა თურქმენეთში ჩაყვანის ამბავი კი ასე იყო:

— ყოველწლიურად, 19 თებერვალს, თურქმენეთის პრეზიდენტ საფარმურატ ნიაზოვის დაბადების დღის აღსანიშნავად აშგაბადში საფეხბურთო ტურნირი ტარდება. წინა ტურნირისას მასპინძლებმა ხუმრობით გადმომიკრეს, ქართული გუნდი არ არისო. ერთ-ერთ შეხვედრისას უკრაინის „ზარიასა“ და სომხეთის გუნდს შორის „ზარიაში“ მოთამაშე ჩვენებურმა მამუკა გვგეჭკორმა ლამაზი ფინტი გააკეთა, ამან მაყურებელი ისე აღაფრთოვანა, მარტო მამუკას სანახავად დადიოდნენ. მოკლედ, სიტუაცია მომწიფდა. მე ვესაუბრე თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შიხმურადოვს, რომელიც იმავდროულად იქაური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც არის, და გადავწყვიტეთ რამდენიმე ფეხბურთელი მიგვეწვია თურქმენეთში. ასე აღმოჩნდნენ კახა ჭუმბურიძე, გურამ ასპინძელაშვილი და კახა გოგოლაძე აშგაბადში. ვარჯიშებსაც ხშირად ვესწრებოდი და ისაც შევამჩნიე, რომ თურქმენი მწვრთნელები დიდი ცოდნით ვერ გამოირჩეოდნენ. შიხმურადოვთან საუბარში ამოტივტივდა ელგუჯა გუგუშვილის კანდიდატურა, რომლის საანკეტო მონაცემებს დახედეს თუ არა, აქეთ დამიწყეს ხვეწნა, ეგ კაცი სასწრაფოდ ჩამოგვიყვანეო. გუგუშვილს ნაკრები ჩააბარეს და როდესაც მისი მუშაობა ნახეს, ლამის გადაირივნენ. აქამდე თურქმენეთში მხოლოდ ზერელე წარმოდგენა ჰქონდათ ფეხბურთზე და საწვრთნელ პროცესზე. გუგუშვილმა კი, რომ იტყვიან, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე საფეხბურთო საქმიანობას თურქმენეთში.

**— ალბათ, მარტო ამით არ შემოიფარგლებიან...**

— რა თქმა უნდა. დაიწყეს სტადიონის რეკონსტრუქცია, თურქი სპეციალისტები ჩამოიყვანეს და უსწრაფესი ტემპებით მიდის მშენებლობა. მალე აშგაბადში თანამედროვე სტადიონი იქნება. მოკლედ, ფეხბურთის ბუმი იწყება. უნდა ნახოთ თამაშებზე, ყველა რომ „ბიჩოს“ გაჰკივის. ქართველებს ასე ეძახიან და არის ერთი ჟრიამული „დავაი, ბიჩო!“ მოკლედ, ამაზე კარგ რეკლამას საქართველოს თურქმენეთში ვერავინ გაუკეთებს. ისე, ჩემდა გასაკვირად, საქართველოს საკმაოდ კარგად იცნობდნენ. მათ სურთ, საქართველოში იჯარით აიღონ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზები და, ვფიქრობ, ეს ჩვენთვისაც კარგი იქნება, რაკილა ჩემი იქ ყოფნის პერიოდში, რასაც ხელი მოჰკიდეს, ყველაფერი ფეხზე დააყენეს.

**— სპორტის სხვა სახეობები როგორღაა?**

— ძალზე პოპულარულია ჭიდაობა და, სხვათაშორის, იქაც ქართველი სპეციალისტები მუშაობენ: ნოდარ გუჯარაიძე ჭაბუკ, ნიკოლოზ მამულაშვილი კი ეროვნულ ნაკრებებს წვრთნიან.

ძალზე მომდომებულნი არიან ველოსპორტის ასაღორძინებლად. გაკეთდა 60 კილომეტრიანი სუპერთანამედროვე წრიული ტრასა აშგაბადი — ფირუზი, რომელზეც მალე საერთაშორისო შეჯიბრებები გაიმართება და საქართველოს სპორტსმენებსაც მიიწვევენ. თებერვალში დიდი ველოტურნირი ეწყობა და, ვფიქრობ, ფეხბურთელებთან ერთად ქართველი ველოსიპედისტებიც ეწვევიან თურქმენეთს.

**— საგაისო საფეხბურთო ტურნირზე რას აპირებენ?**

— ტურნირს პრეზიდენტი ნიაზოვი დაესწრება, ასე რომ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. რვა უძლიერესი კლუბის მოწვევა აქვთ განზრახული გუნდების მიღება-დახვედრის პირობები კი ჩინებული იქნება...

მე კი ყველანაირად შევეცდები თავისუფალი დრო გამოვნახო და ორივე ქვეყნის სპორტისთვის სასიკეთო საქმეში ჩემი წვლილი შევიტანო. სპორტი, მოგეხსენებათ, უფულოდ არ ვითარდება, თურქმენული გაზი კი კვლავაც დიდხანს იქნება მათი შემოსავლის წყარო. ვფიქრობ საქმიანი კონტაქტები ორივე ქვეყანაში დიდად არგებს.

**მამუკა ქმარაცხელია**



# გუმარი უზადლოა

ეროვნული ბიბლიოთეკა





2.XII. ვაკე

**გუმარი 30:13 ყოჩები**

**(18:6) მსაჯი: გოჩა აბაშიძე (45+43)**

**გუმარი:** მაჩიტიძე, ბ.იურინი (კიზირია 68), ჯიმშელაძე, ჩიქვინიძე, ბუგიანიშვილი, შ.მოდებაძე, ჯანელიძე, მთიულიშვილი, ხუციშვილი, ცაბაძე, მჭედლიშვილი, პარწიკანაშვილი, ობოლაძე, კობახიძე (ზვ.პინაიშვილი, 46), დიდებულიძე. — 4ლ: დიდებულიძე (18, 57), მოდებაძე (35), მაჩიტიძე (61); 2გ: მოდებაძე (35 61); 2ა: მაჩიტიძე (15 45)

**ყოჩები:** ენუქიძე, ლიპარტელიანი, საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, წიკლაური, ტეფნაძე, ქეიშვილი, ჩიქავა, ფირიაშვილი, ახვლედიანი (59), გუშარაშვილი, ტყეშელაშვილი (სულთანიშვილი 36), ცხვედიანი (ლაზაშვილი), ქელიძე, ურუშაძე. — ლ: ლიპარტელიანი (84); გ და 2ს (24 31): ტეფნაძე

„გუმარი“ 1994 წელს შეიქმნა და ჯერაც იმდროინდელი კვართებით თამაშობს. გუნდში აღარ არიან გია რაფავა, მერაბ მარჯანიშვილი, პირველი კაპიტანი გიორგი ბერიაშვილი, ნუგზარ მგელაძე, მაგრამ სულისკვეთება იგივეა.

„გუმარი“ ვაჟკაცი გუნდია. ეს მაშინაც გამოჩნდა, რომ ზუსტად ორი კვირის წინ „ყოჩებთან“ რომ წააგო. ის თამაში რამდენადაც მის დამწესებელ „სარბიელს“ მოგეხსენება, სინისთვის არ ყოფილა, მაგრამ გუმარელებმა „ყოჩებს“ მაინც გაუგზავნეს ამერის საუკეთესო გუნდის სარგო გარდამავალი ჯილდო, რათა მერე გამოეწვიათ და პატიოსან შეჯიბრში დაებრუნებინათ.

ამის დრო გუშინ დადგა. ვაკეში, მზიანდარში სეზონის ერთი უკეთეს თამაშთაგანი გაიმართა. წელი რომ მთავრდება, ბართველი მორაგბეები ახლაღა შედიან ფორმაში. არადა, ალბათ მალე უფრო აცივდება და ჩამოთოვს.

„გუმარის“ რევანში და სინის გამოხსნაც ერთობ დამაჯერებელი იყო. მას შემდეგ, რაც „ყოჩთა“ დამრტყმელ ტეფნაძეს მე-2 წუთზე არეკნი გაუცუდდა, „გუმარი“ კარგა ხნით დამკვიდრდა მეტოქის 22-თან და ბევრი უტია, რაც ბოლოს მაჩიტიძის არეკნით დასრულდა. მანვე თამაშის ცენტრიდან განახლებისთანავე იშვიათი რეიდი წამოიწყო, რასაც ხუთმეტრიანი შერკინება და დიდებულიძის ძალისმიერი ლელო მოყვა 8:0.

მერე „ყოჩებმაც“ გამოიღეს ხელი და ტეფნაძის ორი გოლით სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს, მაგრამ ტაიმის ბოლო 15 წუთში ისევ მომავალმა ჩემპიონმა იძალა: მაჩიტიძემ მეორე არეკნიც გაიტანა, მანამდე კი კარის პირდაპირ დანიშნული შერკინებიდან მოდებაძემ ეშმაკურად თავზე გადაუგდო ბურთი მეტოქეებს, მათ თვალსა და ხელს შუა გაუძვრა და ლელოში ბურთს დაეუფლა.

მეორე ნახევარში არაფერი შეცვლილა. „გუმარი“ გუნდად თამაშობდა, „ყოჩები“ კი დათითოკაცებულიყვნენ. ბებერმა ქეიშვილმა, ნორჩებმა ენუქიძემ და ურუშაძემ ბევრი ინავარდეს, მაგრამ მიმხმარე თანაგუნდელები არსად იყვნენ. აი, „გუარმა“ კი მორიგი ბლიცი განაცხოველა, რაც ოთხი წუთის ინტერვალით ორი ეფექტური ლელოთი დასრულდა და ანგარიში სასწაულად დიდი 30:6 გახდა.

კარგი თამაში ბოლომდე გაგრძელდა. ბოლოს ტეფნაძემ თავისი ნახევრიდან ეშხიანი გარღვევა მოაწყო, ბურთი ფეხით წინ გაიგდო და ლამაზ ლელსაც გაიტანდა, მაგრამ უბურთოდ შებოჭეს. მსაჯმა მისიანებს შეტევა აღრიცხა, რაც ლელოთი დასრულდა.

ჩემპიონი გაირკვა. გასამართი ფინალური ოთხეულის კიდევ ერთი წრეა. ქუთაისის „აია“ გუშინვე არ ეწვია თბილისის „ქორებს“ და საქმესაც ისეთი პირი უჩანს, რომ არც „გუმარსა“ და „ყოჩებს“ ჩამოუვა.

თბილისელებსაც რაღა დარჩენიათ: ან სეზონი უნდა დაასრულონ, ანაც დედაქალაქის სამმა გუნდმა ბარბაროსული რაგბი გააჩაღოს — მოგება-წაგებას მნიშვნელობა რომ უკვე აღარ ექნება!

**ზაზა ქახაძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



# თელავში სტუდენტებმა იჭიდავეს

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ინიციატივით თელავში გაიმართა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების პირველობა ძიუდოში. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს პოლიციის აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ძიუდოისტებმა. შეჯიბრებაზე უსახსრობის გამო ვერ ჩავიდნენ ქუთაისის უნივერსიტეტის და გორის ეკონომიური ინსტიტუტის მოჭიდავეები.

გუნდურ ასპარეზობაში ყველას აჯობეს პოლიციის მომავალმა ოფიცრებმა. მათ შვიდი წონითი კატეგორიიდან ექვსში დაიკავეს პირველი ადგილი. ოღონდ აღსანიშნავია, რომ ყველა აკადემიელი ჩემპიონის ძირითადი „საქმიანობა“ სამბოა და არა ძიუდო. ჩემპიონები გახდნენ: ბესიკ ოდიშვილი (60 კგ), მამუკა კურდღელაშვილი (65 კგ), შალვა ბენიძე (71 კგ. თელავის პედინსტიტუტი), ჯონდო მუზაშვილი (78 კგ), მამუკა ჯანანაშვილი (86 კგ), იოსებ აზალბედაშვილი (95 კგ), ჯამბულათ ქამხაძე (მძიმე წონა).

# რაგბი

უქმეებზე ევროპაში სამი დიდი მატჩი იყო. სამივეში სამხრეთ-ნახევარსფეროელმა სტუმრებმა გაიმარჯვეს, რაც, აბა, ვის გააკვირვებდა!

30. XI. ბორდო. I ტესტი

### საფრანგეთი 12:22 სამხ. აფრიკა

საფრანგეთი: სადურნი; დურთი, გლასი (ლამეზონი), ბუიკი, ბერტი (ვენდიტი 49); მაზა, კარბონო; კალიფანო, დერუემონი (დალმაზო 73), ტურნერი; მიორენი, პელუ; ბენაზი (კაპ), ბენეტონი, ლაბრუსი (კასტელი 57). — 4ს: დურთი

აფრიკა: ჟუბერი; სმოლი, მულდერი, ლერუ, ოლიფიე; ჰონიბალი, ფანდერვესტჰოიზენი; თერონი (ფანდერლინდე 71), დოლტონი (ტრომპი 76), გარვი; ვიზე, ენდრიუზი; კრუგერი, ფენტერი, ტაიხმანი (კაპ). — 2ლ: სმოლი, ჟუბერი; 4ს: ჰონიბალი

ტრავმებით გაცხრილულ „მამლებს", რომლებსაც აკლდნენ მერლი, რუმა, ნტამაკი, სანტანდრე, კასტენიედი და პენო, მაგრად აჯობეს „ქურციკებმა", რომლებმაც თითქმის უშეცდომოდ ითამაშეს და ბურთს შეტევაში უწინდებურად აღარ კარგავდნენ. თუკი ფრანგებს რამე შანსი მიეცათ, ისინიც ჟუბერმა დაუსამარა ტაქტიკური დარტყმებით.

მასპინძლები მე-2 წუთზე დაწინაურდნენ, მაგრამ უმალ ჰონიბალმა მოაწყო გარღვევა და ჟუბერის პასით სმოლმა ლელო გაიტანა. მეორე ლელო 32-ე წუთზე გავიდა ფანდერვესტჰოიზენის რეიდის შემდეგ. 19:6 შესვენებაზე.

ფრანგებს ოთხი კაცი დაუშავდათ. მეორე ნახევარში მეტოქეს მაინც მიეძალნენ და ერთი პირობა მათ სასარგებლოდ აფრიკელთა ლელოსთან ზედიზედ დაინიშნა შერკინებები, მაგრამ სტუმართა დაცვა შეუვალი აღმოჩნდა.

და მაინც, დურთმა 66-ე წუთზე მეოთხე გოლიც რომ შეაგდო, სხვაობა გარდასახულ ლელომდე შემცირდა 12:19. სამი წუთის შემდეგ ჰონიბალმაც გაიტანა საჯარიმო და აფრიკელებმაც დამაჯერებლად დაასრულეს თამაში.

მეორე ტესტი ამ შაბათსაა, პარიზში.

30. XI. თვიქნემი

### ინგლისი 19:34 ზელ.ბარბ.

ინგლისი: სთიმფსონი; სლაითჰომი, ქარლინგი, დეგლენვილი (კაპ), ადებაიო; ქეთი, გომერსოლი; რაუნთრი, რიგანი, ლენარდი; ჯონსონი, ძოუ; როდბერი, დალალიო, შიზბი. — 2ლ: სლაითჰომი, სთიმფსონი; 3ს: ქეთი

ახალზელანდიელი ბარბაროსები: ქალენი; ვიდირი (ოზბორნი 79), იერემაია, სთენსნესი, ლომუ; მერთენსი (სპენსერი 59), მარშალი; ალენი, ფითსპატრიქი (კაპ), ბრაუნი; ი. ჯოუნზი, რ. ბრუქი; მ. ჯოუნზი, ბლაუერსი, რენდელი (დ. მიკა 56). — 4ლ: ბრუქი, ბლაუერსი, სპენსერი, ვიდირი; გ: სპენსერი; 4ს: მერთენსი 2, სპენსერი 2

ბარბაროსთა მწვრთნელი ჰართი ემმაკობას მიუხვდა ინგლისელებს: თუ მოგვიგებენ, იტრაბახებენ, სახელგადარქმეული ზელანდიის ნაკრები დავამარცხეთო, ხოლო თუ წააგებენ, იხტიბარს არ გაიტეხენ, ესაო და ბარბაროსულ ყაიდაზე წავიბურთავეთო. ჰართი იმასაც იძახდა, ისე უნდა ვითამაშოთ, რომ ხალხს დავანახოთ, თუ რაა ნაღდი რაგბიო.

## სამხრეთული ჰეთ-თრიქი



34 წლის ჯონათან დევისი თავისი კბილა დევიდ ქემფიზის შეჩერებას ლამობს. როიტერს-ის ფოტო

ლომუს საზარდულის ინფექცია ჭირდა, მაგრამ იმდენად მაინც მომჯობინდა, რომ ითამაშა, თუმც კი ბევრი არაფერი გაუკეთებია და მის მეურვე სლაითჰომს არაფერი გაჭირვებია. პირიქით, ამან ლელოც კი გაიტანა.

თავიდანვე კარგი ბურთაობა გაჩაღდა. ინგლისი საჯარიმოებს კარში ურტყამდა, ზელანდია — ათამაშებდა და ტაიმიც მასპინძლებმა მოიგეს 9:8. მსაჯმა მე-6 წუთზე საეჭვო ლელო ჩაუთვალა ბრუქს, ფითსპატრიქსა და მ. ჯოუნზს კი გული დაწყვიტა.

მეორე ნახევრის 50-ე წამზე მერთენსის გალვევა ბლაუერსის ლელოთი დასრულდა, რასაც ხუთი წუთის ინტერვალით მასპინძელთა ორი ლელო მოყვა 19:13, მაგრამ მერე სტუმრებმა ორი საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრეს 19:19.

მეორედ ეს გააკეთა ოქლენდის 21 წლის 10 ნომერმა კარლოს სპენსერმა, ვისაც ნაკრებში ჯერაც არ უთამაშია. 73-ე წუთზე სწორედ მან გაიტანა ლელო-მარგალიტი: 35-მეტრიანი სოლო რეიდი განახორციელა. დასასრულ ფიჯელმა ვიდირიმაც გამოიღო ხელი. ერთი სიტყვით, წითელკვართა ბარბაროსებმა ბოლო რვა წუთში 15 ქულა მოაგროვეს და მასპინძლების რაგბის კავშირს დაარსებიდან 125 წელი ასე მიულოცეს.

1. XII. კარდიფი. მხოლო ტესტი

### უელსი 19:28 ავსტრალია

უელსი: პროქტორი (ნ. ჯენქინსი 50); ი. ევანსი, გ. თომასი, გიბსი, ჯეიმზი; ჯონათან დევისი, ჰაული; ლოუდერი, ჰამფრიზი (კაპ), იანგი; პლუელინი, დ. ჯოუნზი (კ. ქვინელი 70); პ. თეილორი (ჯარვისი 16), კ. ჯოუნზი, ვილიამსი. — ლ: თომასი; გ და 4ს: ჯ. დევისი

ავსტრალია: ბერქი; როფი, ლითლი, ჰორანი (კაპ), ქემფიზი; ჰოვარდი, გრეგანი; ქრაული, ფოლი, ა. ბლეიდსი; გევინი, გიფინი; ფინეგანი, ვილსონი, ბრაიალი. — 3ლ: ბერქი, ბრაიალი, საჯარიმო; 2გ და 3ს: ბერქი

ბოლო, 101-ე კეპი მოიხვეჭა ბებერმა დევიდ ქემფიზიმ, ლიგის რაგბში გატარებული რვა წლის შემდეგ პირველი — ასევე ვეტერანმა ჯონათან დევისმა.

ორივემ კარგად ურტყა, მაგრამ ბურთაობით თავი არ გამოუჩენია. უელსს დევისი საიმდღეოდ — ხალხის მისაზიდად ჭირდებოდა, რაკი 1999 წლის მსოფლიო თასის ფინალს მასპინძლობს და ახალი გუნდის შესაქმნელად დიდი კამპანია წამოუწყია.

„ვოლაბები" ჯობდნენ მეტოქეს და პირველი ტაიმი 18:6 მოუგეს. ბერქმა მე-11 წუთზე ბურთთან მიასწრო ვეტერან ევანსს და ლელო გაუტანა. ამ შეტევისას ქემფიზის ბურთი ძირს გაუვარდა, რამაც პრეს-კონფერენციაზე კითხვები დაბადა.

ქემფიზიმ ბურთი კუთხისკენ შესანიშნავად გაგზავნა, იქ გამართული დერეფნიდან კი ბრაიალმა გაიტანა ლელო. ავსტრალიელებმა მეორე ნახევარშიც გაფლანგეს ორი სალელოე შანსი, ხოლო 53-ე წუთზე 18:9 რომ იგებდნენ, საჯარიმო კარში დარტყმის ნაცვლად გაითამაშეს. ჰოდა, გრეგანს პასი ჩაუჭრა უელსელმა თომასმა და ბურთით 90 მეტრი ირბინა, დევისმა კი ლელოც გარდასახა და საჯარიმოც დააყოლა — 19:18 მასპინძელთა სასარგებლოდ.

სასწაული ახლოს იყო. დაჩიავებულ უელსს იმიჯის გამოსაკეთებლად ერთობ ჭირდებოდა სამხრეთელი ბუმბერაზის დამარცხება, მაგრამ მაგ საქმიდან არაფერი გამოუვიდა: სტუმართა მორკინალებმა ისევ იძალეს, ბერქმა საჯარიმოთი ისეთ წინ გაიყვანა „ვოლაბები" 21:19, ბოლოს კი სტუმრებმა საჯარიმო ლელოსაც გამოკრეს ხელი.

მეთიუ ბერქმა კარდიფში მოხვეჭილი 18 ქულით წლიური მონაგარი 189 ქულას უწია, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია.

**რეზო ნემსაძე**

# ჩოგბურთი

## ბეჩმა ივაჟკაცა, ედბერგი დაშავდა



როიტერს-ის ფოტოები

| დევისის თასის ფინალი | |
|---|---|
| **შვედეთი 2-3 საფრანგეთი** | |
| 0-1 | სტეფან ედბერგი — სედრიკ პიოლინი 3:6, 4:6, 3:6 |
| 1-1 | თომას ენკვისტი — არნო ბეჩი 6:4, 6:3, 7:6 (7-2) |
| 1-2 | იონას ბიორკმანი და ნიკლას კულტი — გი ფორჟე და გიიომ რაუქსი 3:6, 6:1, 3:6, 3:6 |
| 2-2 | ენკვისტი — პიოლინი 3:6, 6:7 (8-10), 6:4, 6:4, 9:7 |
| 2-3 | კულტი — ბეჩი 6:7 (2-7), 6:2, 6:4, 6:7 (5-7), 8:10 |

ბოლო თვეებია, თითქო პირი შეკრესო, ბობოლა ამერიკელებმა — სამპრასმა, აგასიმ, ჩანგმა, რუსმა კაფელნიკოვმა, გერმანელმა ბეკერმა და მათმა ამფსონებმა კამპანია გააჩაღეს, დევისის თასი წელიწადგამოშვებით უნდა თამაშდებოდეს, რადგანაც ისედაც გადატვირთულია კალენდარი და საასპარეზოდ მოცლა გვიჭირსო. უფრო შორს შეტოპა ჩოგბურთის დონ კინგმა — ექს-რუმინელმა ჩოგბურთელმა, აწ კი გერმანელმა მენეჯერმა იონ ცირიაკმა, რომელმაც წინადადება წამოაყენა, დევისის თასი ოთხ წელიწადში ერთხელ გათამაშდეს და ისიც ერთ რომელიმე ქვეყანაში, ერთი ტიპის საფარზე.

საბედნიეროდ, საჩოგბურთო სამყარო ამ გამსუნაგებულ ვარსკვლავთა ჭკუაზე არა დგას. თუ კალენდრის გადატვირთულობაზე და ზოგი შეჯიბრის იქედან ამოშლაზეა საუბარი, რაღა უდიდესი ტრადიციების ამ თასს მიდგნენ — აიღონ და ატპ-ის ტურის ნებისმიერი წყალ-წყალა ტურნირი გადააგდონ.

დევისის თასი რომ უნიკალური რამაა, დაადასტურა მისი 84-ე გათამაშების ფინალმაც, პარასკევ — კვირას რომ გაიმართა მალმეს (შვედეთი) „მალმომასანში", რომელიც ჯერ გემთსაშენი ყოფილა, მერე — ავტოქარხნის საწყობი, ამჯერად კი საგამოფენო დარბაზია.

პირველი დღე დრამატულად დაიწყო: ხისტ საფარზე, სახელად „პლექსიპეივზე", დასრიალდა ბადესთან გასული 30 წლის ედბერგი, ვისთვისაც ეს მატჩი ბოლო შეჯიბრი იყო და მარჯვენა კოჭი იღრძო, რის შემდეგაც ველარ გაუმკლავდა პიოლინს და ველარც ორი დღის შემდეგ შეძლო „რევერს სინგლზის" თამაში, თუმც კი ჰოსპიტალში საგანგებო პროცედურებიც ჩაუტარეს.

მერე, წლის ბოლო ორი — პარიზისა და სტოკჰოლმის ტურნირების გამარჯვებულმა ენკვისტმა ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ფრანგთა წყვილმა — ბებერმა ფორჟემ და ჯეელმა რაუქსმა შაბათს ისევ წინ გაიყვანეს სტუმრები. ეს შვედთათვის ცუდის მომასწავებელი ნიშანი იყო, რადგანაც აქამდე თასს მაშინ იგებდნენ, როცა „დაბლზში" ივარგებდნენ ხოლმე.

კვირას ენკვისტმა ერთობ ივაჟკაცა და თუმც საწყისი ორი ხელი წააგო და გადამწყვეტსაც 2:5 აგებდა, 4 საათსა და 26 წუთში მაინც სძლია პიოლინი და ანგარიში გაათანაბრა.

ედბერგი შეცვალა კულტიმ, ვისაც ბეჩთან აქამდე ორიდან ორჯერ წაეგო, ოღოღნდაც — თიხაზე. დარბაზში შეკრებილი 5 600 ქომაგიდან 700 ფრანგი იყო და უჯიგრო ჩრდილოელებზე მეტად ხმაურობდა.

ეს თამაშიც საარაკო გამოვიდა — 4 საათსა და 47 წუთს გასტანა და მეხუთე ხელზე მიდგა. მეოთხეში შვედს სამმაგი მატჩ-პოინტი მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა, რაკი ამ დროს დაღლილობით უკვე კრუნჩხვები დაეწყო.

ბეჩმა, თავის მხრივ, მესამე მატჩ-პოინტზელა მოიგო. ამით ფრანგები მერვედ გახდნენ ჩემპიონები. მათი წინა გამარჯვებიდან, აშშ-ს 3-1 რომ ძლიეს ლიონში, ზუსტად ხუთი წელი გასულიყო.

**ირაკლი ნინუა**

# აის-ჰოკეი

## ეროვნულ ლიგაში

**29 ნოემბერი. ბოსტონი — ვანკუვერი 7:3, ბუფალო — ოტავა 3:0, ვაშინგტონი — აილენდერზი 0:2, ტამპა — დალასი 1:2, ფლორიდა — ჰარტფორდი 1:1, სან-ხოსე — ედმონტონი 2:4, ანაჰაიმი — ჩიკაგო 2:0**

აღმოსავლეთი დივიზიონის ლიდერები — ფლორიდა და ჰარტფორდიც დაცვით სტილში თამაშობენ. ლამაზ კომბინაციებსა და ბევრ გოლს მათგან არავინ ელოდა. სამაგიეროდ, მოედანზე ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა. ფლორიდელი ლინდსის (სულ 5) მიერ შეგდებულ შაიბას გამარჯვების მოტანაც შეეძლო „პანთერებისთვის", რომ არა ექს-დეტროიტელი პრიმოს ბოლო პერიოდში გატანილი გოლი. ფლორიდის მეკარე ვანბისბრუკი (ფოტოზე) კვლავ საიმედოდ დგას.

ჰარტფორდის დაკარგული ქულით ისარგებლა ბუფალომ. ამ კლუბში ბოლო მატჩებში მეკარე ჰაშეკი გამოირჩევა. ჩეხი ახლა კარგ ფორმაშია და სამ დღეში ორჯერ შეინახა კარი მშრალად. კლუბის საუკეთესო სნაიპერი პლანტის ორი შაიბით (11) წყალობით „სეიბრზი" დივიზიონში დაწინაურდა.

ბოსტონმა დამაჯერებლად სძლია ვანკუვერი. ასეთი მაღალი შედეგიანობა საკმაოდ უჩვეულოა ამ კლუბისთვის. თავი გამოიჩინეს „დათვების" მთავარ მეპასე ოუთსთან შეამხანაგებულმა სლოვაკმა შტუმპელმა (2+1; 9) და კლუბის სნაიპერმა ჰაინცემ (2+1;11).

ვაშინგტონი — აილენდერზის მატჩის ევროპელი ორი გმირი მოევლინა. ორივე შაიბა სლოვაკმა პალფიმ შეაგდო, აქედან ერთი — უმცირესობაში. შვედმა მეკარე სალომ კი 23-ვე დარტყმა მოიგერია.

ცენტრში დალასმა დაიბრუნა პირველი ადგილი აუტსაიდერ ტამპასთან მოგების შემდეგ. თუმცა, ლატვიელი გოლკიპერის — ირბეს თავგამოდება რომ არა, მასპინძლებს ფრეს მიღწევა შეეძლოთ.

მეკარეებმა ეს დღე ნაყოფიერად ჩაატარეს. ანაჰაიმელმა ებერმა სალოს და ჰაშეკის წარმატება გაიმეორა. „მშრალი" მატჩების რაოდენობით ლიდერობს კოლორადოელი რუა — 4. ჰაშეკის ანგარიშზე ერთით ნაკლებია.

**30 ნოემბერი. პიტსბურგი — ბოსტონი 6:2, ოტავა — ფილადელფია 3:4, მონრეალი — ვაშინგტონი 0:2, აილენდერზი — ბუფალო 2:3, ტამპა — ჰარტფორდი 3:6, დალასი — ტორონტო 5:2, კოლორადო — ნიუჯერზი 2:1, ფინიქსი — კალგარი 3:1, ლოს-ანჯელესი — ჩიკაგო 3:5**

პიტსბურგი კვლავ ჩვეულ — აგრესიულ და შემტევ ჰოკეის აჩვენებს. გუნდის თავკაცებმა ერთმანეთს შეუამხანაგეს იაგრი, ლემიე და ფრენსიზი. ამათგან გამორჩევის ღირსია იაგრი, ვინაც პირველმა ამ სეზონში მეორე ჰეთ-თრიქი გააკეთა (სულ 22). ლემიე (1+2; 10) 1400-ქულიან ზღვარს გასცდა და ჯერჯერობით მეცხრეა.

სამაგიეროდ, ბოლო ადგილზე ტამპამ გადაინაცვლა. ამასაც ბებრების პრობლემა აწუხებს. ახლაც, ტამპას იოლად გაუმკლავდა ჰარტფორდი, რაშიც ტრავმამოშუშებული ემერსონის (1+2; 1) წვლილი უდიდესი იყო.

ფილადელფიელმა ლინდროსმა მხოლოდ მესამე მატჩში მოიპოვა პირველი ქულა (პასი), თუმცა გადამწყვეტი უპირატესობა გუნდს მეორე პერიოდში ლიტველი ზუბრუსის (1+1; 3) და პოდინის შაიბებმა მოუტანეს.

ვაშინგტონის გოლკიპერმა კერიმ — შარშან ლიგაში საუკეთესომ, მოახერხა კოივუსა და კომპანიის შეჩერება, ხოლო ნიკოლიშინის სამეულმა არც ახლა დატოვა მოედანი უგოლოდ. ამჯერად წინა კვირის საუკეთესო მოთამაშემ — ბონდრამ 9 (3+6) იმარჯვა.



ნოემბერში ჩიკაგოს შედარებით უხეირო გამოსვლას სულაც არ უმოქმედია სნაიპერ ამონტეზე, ვინაც 7 მატჩში 10 შაიბა შეაგდო. წინა წლებში იშვიათად გამტანმა ფორვარდმა ლოს-ანჯელესთან ჰეთ-თრიქი გააკეთა და იაგრს 3 გოლით ჩამორჩება.

დასავლეთის ლიდერებმა — კოლორადომ და დალასმა კიდევ უფრო გაიმაგრეს პოზიცია. კოლორადოს გადამწყვეტი შაიბა ფორსბერგის დახმარებით საკიკმა შეაგდო. ესენი 36 (11+25) ქულით პირველობას ეცილებიან ერთმანეთს.

მთავარი ცენტრის — ნუინდაიკის გამოჩენამ დალასის სხვა ლიდერებიც გამოაცოცხლა. ბომბარდირმა მოდანომ ხანგრძლივი უგოლობის შემდეგ ორჯერ (9) იხეირა. სტუმართაგან შვედი სუნდინი 15 შაიბითა და 19 პასით მე-3 ადგილზეა.

ფინიქსელმა გარტნერმა კალგარისთან შეხვედრის ბოლო პერიოდში ორჯერ მიაღწია საწადელს ( 13), მანამდე კი რუს ტვერდოვსკის ანგარიში გაათანაბრებინა.

**1 დეკემბერი. ანაჰაიმი — ედმონტონი 4:2, დეტროიტი — ფლორიდა 2:4, რეინჯერზი — მონრეალი 6:2, ფილადელფია — ვანკუვერი 4:3, სენტ-ლუისი — სან-ხოსე 3:4**

მდევრის — კოლორადოს წარმატებას ფლორიდამ უმალ დეტროიტთან მოგებით უპასუხა. პირველი ოთხი გოლი ამ შეხვედრაში ევროპელებმა გაიტანეს. რუსმა ფიოდოროვმა (6) შეწყვიტა უხეირო გამოსვლა, ბოლო პერიოდში კი „პანთერების" ორივე დარტყმა შედეგიანი აღმოჩნდა, რაც სკრუღლანდის (1-1) წყალობაა.

ანაჰაიმიდან იყოჩაღა კარია — სელიანეს დუეტმა, რომელიც მარჯვეა კორექტულ (სულ 8 საჯარიმო წუთი) თამაშებში.

ფილადელფიაში, ბოლო პერიოდში წინ სულ მასპინძლები იყვნენ, ხოლო ვანკუვერი მდევრის როლში იყო და ათანაბრებდა, მაგრამ ინდიელი მოჩხუბრის — დენიელზის გოლის შემდეგ სტუმრებს გასათანაბრებლად დრო აღარ დარჩათ.

ნიუ-იორკში კანადელები რექი — კოივუს კომბინაციის შემდეგ დაწინაურდნენ, მაგრამ მეორე პერიოდში სამჯერ შეცდნენ და ყურებიც ჩამოყარეს. კვლავ „რეინჯერი" მესიე (2 პასი) და ლიჩი (1+0; 8) აქტიურობდნენ. ლიჩმა მცველთა პაექრობაში კოლორადოელ ოზოლინშს გაუსწრო (28 (8+20) ქულა 27 (8+19)-ის წინააღმდეგ).

ლემიემ 573 შაიბა შეაგდო და მე-8 ადგილზე მყოფ ლეგენდარულ ბოსის დაეწია, მისი თანაკლუბელი ფრენსიზი კი მე-900 პასით ასევე მე-9-ზე მყოფ ტროტიეს შეუერთდა. დეტროიტელმა შენაჰანმა მე-300 გოლი გაიტანა.

### ნოემბრის შედეგები:

ჩრდილო-აღმოსავლეთი: ბუფალო 17 ქულა (14 მატჩში), ჰარტფორდი 15 (14), პიტსბურგი 14 (13), მონრეალი 14 (15), ბოსტონი 12 (13), ოტავა 10 (13)

ატლანტიკა: ვაშინგტონი 19 (15), ფლორიდა 16 (12), ნიუ-ჯერზი 16 (13), ფილადელფია 15 (13), აილენდერზი 14 (14), რეინჯერზი 9 (12), ტამპა 5 (13)

ცენტრი: სენტ-ლუისი 16 (12), დეტროიტი 16 (13), დალასი 15 (14), ჩიკაგო 13 (14), ფინიქსი 11 (13), ტორონტო 10 (14)

წყნარი ოკეანე: კოლორადო 19 (13), ვანკუვერი 16 (13), ანაჰაიმი 14 (13), ედმონტონი 13 (14), ლოს-ანჯელესი 11 (12), სან-ხოსე 7 (12), კალგარი 7 (13)

**სამველ ღარიბიანი**

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29